avashi.com


# სარბიელი

სპორტული გაზეთი   სამშაბათი 27 მარტი 2007 №67 (2990)   ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიტანე რამდენიც გინდა

## და ხვალ იქნება ფა-რერო რერო






ბადრი კეთილაძის ფოტოები


1 აპრილიდან კომპანია „ქართული ჩოგბურთი" აცხადებს ბავშვთა მიღებას 6 წლის ასაკიდან. იან ჰომერის სახელობის საჩოგბურთო კომპლექსში თქვენ სპორტის ამ სახეობის ანბანთან გაცნობაში პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგეხმარებიან. ადგილები შეზღუდულია. ჯგუფების დაკომპლექტება 31 მარტამდე.
მისამართი: ლუბლიანას 18
ტელ: 54 00 77; 54 00 39

# საქართველო გლაზგოდან დიღომში

## ტოპმიოლერს მცველები შემოაკლდა და ძველი სქემა გაახსენდა



ბაჩუკი კოპალიანის ფოტო



ბაჩუკი კოპალიანის ფოტო

შოტლანდიიდან დაბრუნებულმა საქართველოს ნაკრებმა გუშინ დიღომში თენგიზ სულაქველიძის სახელობის ბავშვთა ფეხბურთის აკადემიის მოედანზე დაახლოებით ორი საათი ივარჯიშა და ფარერებთან ხვალინდელი მატჩისთვის მზადება დაიწყო.

შოტლანდიასთან ბოლოწუთს წაგებული შეხვედრის კვალი ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს ცხადია, კიდევ ეტყობათ, თუმცა არც მთლად უხალისოდ გამოიყურებიან. ერთმანეთს ამხნევებენ და ფარერებთან უეჭველი მოგების მოლოდინში არიან.

გუშინდელ ვარჯიშზეც კარგად გამოჩნდა, რომ ხვალინდელ მატჩში კლაუს ტოპმიოლერი შოტლანდიურისგან განსხვავებულ შემადგენლობას ათამაშებს და ალბათ ძველ, 4-3-3 სისტემას დაუბრუნდება. შინ თამაში და მეტოქის დონე კი ნამდვილად იძლევა დიდი ძალებით შეტევის საშუალებას. შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ, რომ ფარერებთან ტოპმიოლერი ცენტრალური მცველის პოზიციაზე პანიონიოსელ ლევან ცქიტიშვილს ათამაშებს, რომელიც დაცვის შუაში ადრეც ხშირად გვინახავს და ახლა ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. ფარერებთან მატჩის წინ მწვრთნელს სწორედ ცენტრალური მცველების დეფიციტი შეექმნა. კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი და ოთარ ხიზანეიშვილი თუ არც გლაზგოში იყვნენ, იმ მატჩის შემდეგ ნაკრებს ზურაბ ხიზანიშვილიც დააკლდა. მას საზარდულები ატკივდა და გუნდს თბილისში აღარც გამოჰყოლია. პირდაპირ ბლექბერნში დაბრუნდა.

გუშინ არც შოთა არველაძეს უვარჯიშია, მას მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ შეახსენა თავი და ექიმების რჩევით დაისვენა. შოთას ექიმები დღეს გასინჯავენ და მერე იტყვიან, შესძლებენ თუ ვერა ფარერებთან თამაშს.

მოკლედ, ვარჯიშზე 17 ფეხბურთელი იყო, არ ჩანდა მეკარე გრიგოლ ჭანტურია. მწვრთნელს ის გუშინ გაუთავისუფლებია, თუმცა დღეს შესაძლოა, ნაკრებს დაუბრუნდეს.

ორი საათის განმავლობაში ფეხბურთელები ბურთს არ მოშორებიან. ითამაშეს კვადრატი, დაამუშავეს შეტევის ვარიანტები, სტანდარტული მდგომარეობები... მერე ტოპმიოლერმა თავის თანაშემწე-თარჯიმან ბესიკ ფრიდონაშვილთან ერთად ჯერ ზაალ ელიავა გაიხმო, შემდეგ ლაშა სალუქვაძე — თავდამსხმელებთან ორთაბრძოლისას სწორი პოზიციის შერჩევას ასწავლიდა.

მცირე ტრავმა მიიღო და ვარჯიშის ნაადრევად დამთავრება მოუწია გოგიტა გოგუას, მას თანაგუნდელის ფეხი სახეში მოხვდა და ექიმი დასჭირდა. როგორც მერე ითქვა, საშიში არაფერი ყოფილა.

ტოპმიოლერის თხოვნით ფეხბურთელებმა გუშინ პრესასთან ურთიერთობისგან თავი შეიკავეს, თუმც მწვრთნელი დღეს პრესკონფერენციის გამართვას აპირებს და სხვა ამბებსაც ალბათ იქ იტყვის...

**კობა ინასარიძე**

# სად დაიღალე, რომ ისვენებ?



ბაჩუკი კოპალიანის ფოტო

ფარერელთა მწვრთნელმა იოგვან მარტინ ოლსენმა, რომელიც თბილისში ოთხი წლის წინაც არის ნამყოფი 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად, აქაური კლიმატი კარგად იცის — კუნძულელები ჩრდილოურ ყინვას მოარიდა და საქართველოს ნაკრებთან თამაშამდე თბილისს სამი დღით ადრე ეწვია.

სტუმრები „შერატონ მეტეხი პალასში" დაბინავდნენ, კარგად დაისვენეს და გუშინ „მიხეილ მესხზე" საათნახევარი ივარჯიშეს, სადაც არც რაიმე ტაქტიკური მონახაზი დაუმუშავებიათ და არც სხვა რამ განსაკუთრებული გაუკეთებიათ. სანამ ოლსენი ფეხბურთელებს კარში დაარტყმევინებდა, მსუბუქი მოთელვითა და კვადრატით შემოიფარგლა. კვადრატი ფარერელებმა სულ სიცილ-ხარხარში გაატარეს და ოვაციები მეტ-ნაკლებად ეფექტური ფინტის ან ილეთის დროს ისმოდა, რაც ერთი საათის განმავლობაში იშვიათი იყო.

კვადრატის დროს ბურთის გაგორებამაც კარგად დაგვანახა, რომ კუნძულელები ტექნიკაში ძალიან მოიკოჭლებენ. კარში დარტყმების დროს კი ზუსტი მხოლოდ კრისტიან ჰოგნი იაკობსენი იყო, დანარჩენები მეკარე იაკუპ მიკელსენს იშვიათად აწუხებდნენ.

სხვათა შორის, სწორედ მიკელსენი და კოლი იოჰანსენი ითვლებიან ფარერელთა ნაკრებში რეკორდსმენებად — მიკელსენს ყველაზე მეტი, 80 მატჩი აქვს ჩატარებული, ხოლო იოჰანსენს ყველაზე მეტი, 6 გოლი გაუტანია.

როგორც იქნა, ოლსენმა ფეხბურთელებს ვარჯიშის დარსულება უბრძანა და ჩვენთან სასაუბროდაც მოიცალა.

„საქართველოსთან შინ 0:6 წავაგეთ და ვეცდებით, თბილისში უკეთ ვითამაშოთ. თუ საშუალება მოგვეცა, პირველი ქულის მოპოვებაზე უარს არ ვიტყვით. საქართველოს ნაკრები კარგად ორგანიზებული გუნდია, მათგან მხოლოდ კახა კალაძე ვიცი, თუმც პირველ მატჩში კარგად გამოჩნდა, რომ ქართველებს სხვა კარგი ფეხბურთელებიც ჰყავთ... თბილისში ოთხი წლის წინაც ვიყავი და ვიცოდი, რომ მშვენიერი ქალაქია, მთავარია, კარგი ამინდია, ნამდვილი გაზაფხულია და ბიჭებიც კმაყოფილნი არიან" — გვითხრა ოლსენმა და თავაზიანად დაგვშორდა, ფეხბურთელები უნდა დავასვენოო.

ჰო, დასვენებაზე ერთი ამბავი გაგვახსენდა — შვილი რომ მამასთან მივიდა და ფული სთხოვა, დასასვენებლად მივდივარ და მჭირდებაო, მამამ უთხრა, ორჯერ მეტს მოგცემ, ოღონდ მითხარი, რამ დაგღალაო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ბაჩუკი კოპალიანის ფოტო

იაკუპ მიკელსენს ქართველებმა ფარერებზე სამზე ორჯერ მეტი ბურთი გაუტანეს

## ამხანაგური მატჩები

გვადალუპე 2:2 ტრინიდადი
ბერმუდა 0:3 კანადა

ახალგაზრდულები (U-21)

პოლონეთი 2:0 ლატვია

## მექსიკა

კლაუსურა
XII ტური

სანტოსი 1:0 ვერაკრუსი
ტოლუკა 0:0 ხაგუარესი

## ინგლისი

კონფერენს ლიგა. XXXIX ტური

ოქსფორდი 2:2 დაგენემი

## იტალია

სერია B. XXX ტური

პიაჩენცა 5:1 მოდენა

## არგენტინა

კლაუსურა. VII ტური

გოდოი კრუზი 0:1 ბოკა ხუნიორსი

SLOT POKER CLUB VEGA
საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT




# იცით, ვინ არის ბორატი?



საშა ბარონ კოენი ბორატის როლში

ასე არ შეიძლება — უთქვამს ნამატჩევს კლაუს ტოპმიოლერს ფეხბურთელებისთვის.

ასე მართლაც არ შეიძლებოდა — სწორხაზოვნად მოთამაშე შოტლანდიელებმა ფაქტობრივად შეუპოვრობით დაგვჯაბნეს.

შოტლანდია თამაშამდე იყო დარწმუნებული, რომ გაიმარჯვებდა. რწმენას მართლაც ბევრი შეუძლია. „ბიჭებო, გაგვხადეთ ამაყნი“ — პირველ გვერდზე დაწერა შოტლანდიაში ყველაზე პოპულარულმა გაზეთმა „დეილი რეკორდმა“ და იქვე შოტლანდიის ნაკრების გუნდური ფოტო გამოაქვეყნა, რომელზეც ნაკრების ყველა ფეხბურთელი იყო ჩამწკრივებული. საქართველოში ასეთ სტატიკურ ფოტოს პირველ გვერდზე ალბათ არც ერთი გაზეთი არ დაბეჭდავს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა სტატიკა დინამიკაა: გაზეთმა არავინ გამოარჩია, ყველა ნაკრებელი გამოაჩინა პირველ გვერდზე მასაჟისტექიმიანად — რწმენა გუნდურობასაც მოაქვს და ალბათ ამიტომაც არის „დეილი რეკორდი“ ყველაზე რესპექტაბელური გაზეთი გლაზგოში.

„რა იქნება, თუ წავაგებთ? მე მაგრად გამაკრიტიკებენ. ჩემი მოწოდება კი ასეთია — თუ რამის გეშინია, ის არ უნდა გააკეთო“ — უთხრა მაკლიშმა „დეილი რეკორდს“ თამაშამდე ორი დღით ადრე. წითური სქოთი მართლაც არ არის დიდი ტაქტიკოსი, მაგრამ რაც აქვს, ვერ წაართმევ.

ეს მწვრთნელ მაკლიშის სადებიუტო მატჩი იყო ნაკრებში. მან „რეინჯერსში“ გადასული უოლტერ სმიტი შეცვალა, დიდად პატივცემული მწვრთნელი მთელ ბრიტანეთში, რომლის ხელშიც მიმდინარე შესარჩევში სქოთებმა საფრანგეთსაც კი მოუგეს.

„უოლტერ სმიტმა დიდი შედეგი მოიტანა, მაგარმ ეს საქართველოა, მაშასადამე, სქოთებმა უნდა მოიგონ“ — ასეთი იყო „დეილი რეკორდის“ ერთ-ერთი სტატიის სათაური.

ბუქმეიკერებიც დიდად არ აფასებდნენ საქართველოს შანსებს — თხუთმეტი ორთან.

„შოთა მისტერ ბინივითაა, მაგრამ მასზე ასჯერ უფრო მაგარი მოლადავეა“ — ესეც „დეილი რეკორდმა“ დაწერა და ფოტოც დაბეჭდა — შოთა მისტერ ბინის საყვარელ თოჯინა დათუნია ტედისთან.

შოტლანდია — საქართველოს მატჩს „გლაზგო რეინჯერსის“ ჟურნალიც გამოეხმაურა, ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა ზურაბ ხიზანიშვილთან და ერთი პატარა წერილიც — თებერვალში შოთა არველაძეს ულვაში ჰქონდა მოშვებული და „რეინჯერსმა“ ხიზანიშვილი ამაზეც ალაპარაკა.

„ძალიან მოხარული ვარ, ამაზე რომ მკითხეთ, განა ეს დაუჯერებელი არ იყო? იცით, ვინ არის ბორატი? ეს არის შოთა თავისი ულვაშით. მას ისე მოეწონა ფილმი, რომ ბორატის კოპირება მოინდომა. შოთას ვუთხარი, თუ ულვაშს დაიტოვებ შოტლანდიასთან თამაშისთვის, წავაგებთ-მეთქი. ახლა კი მას უკვე გაპარსული აქვს ულვაში და ძველ, მისტერბინურ გარეგნობას დაუბრუნდა. ალბათ ასე მართლაც უკეთესია“ — უთქვამს ხიზანიშვილს.

„ბორატი“ ახლახან გამოსული ბრიტანული კომედიაა, რომელშიც ფიქტიური ყაზახი ჟურნალისტის, ბორატ საგდიევის როლს საშა ბარონ კოენი ასრულებს.

...თამაშის დაწყებას თხუთმეტიოდე წუთი უკლდა, ტრიბუნაზე იტალიის ნაკრების მწვრთნელი რობერტო დონადონი რომ შევნიშნეთ და მე და „ოლიმპის“ მთავარმა რედაქტორმა ზვიად თედოზაშვილმა მას ინტერვიუ ვთხოვეთ.

— აქ თამაშის საყურებლად ვარ მოსული, ინტერვიუ შოტლანდიელმა ჟურნალისტებმაც მთხოვეს, მაგრამ უარი ვუთხარი. კარგი იქნება, თამაშის ყურებას თუ მაცლითო.

— ჩვენ თამაშის შემდეგ გვინდოდა, თქვენთვის სამ-ოთხი კითხვა დაგვესვა.

— კარგი, მაშინ ვნახოთ...

თამაშის შემდეგ ჯიქურ წავედით დონადონისკენ, მაგრამ იტალიელი მწვრთნელიც ჯიქურ გასულა ტრიბუნიდან.

ნაკრების და ჩვენი ჟურნალისტური ხელმოცარვის შემდეგ მოზეიმე „ჰემპდენ პარკს“ ვუყურებდით, საცეკვაო მუსიკაზე დიდი და პატარა ძიგძიგებდა, ცეკვავდა და მღეროდა — ეს უნდა ნახოთ, ამას მოყოლა და ლაი-ლაი არ სჭირდება.

ერთი სქოთი კი თამაშამდე მოვიდა ჩვენთან, ხელი ჩამოგვართვა და გვითხრა, საქართველო კარგად ვიცი, თუშეთში, ომალოშიც კი ვარ ნამყოფიო.

გლაზგოში ხალხი თბილი, ნაკლებად აგრესიულია, თინეიჯერობის შემდეგ კაცები თითქმის არ ჩხუბობენ და არ ძველბიჭობენ, მხოლოდ „ოლდ ფირმის“ შემდეგ თუ იღვრება სისხლი ნაცემი სახეებიდან — ასე გვითხრეს გლაზგოში და ალბათ ასეცაა. პოლიციელები იქ უიარაღოდ დადიან, თინეჯიერებთან საგანგებოდ მუშაობენ, სკოლებში მიდიან და ბავშვებთან ფეხბურთსაც კი თამაშობენ. ღამის ცხოვრებაც სპეციფიკურია გლაზგოში — ყველა ნაითკლაბი შუაღამის სამ საათზე იკეტება, იქიდან გამოსული გოგოები ღამის სუსხში მოშიშვლებულები დადიან და ხვადებთან შეწებებაზე არანაკლები მადით სიგარეტს ექაჩებიან — ამერიკანიზაციამ ბრიტანეთის ამ ალა-გშიც ჩააღწია — მოწევა ნებისმიერ შენობაში აკრძალულია.

გლაზგოში მაწანწალა ძაღლი არ მინახავს, საღამოს მელიები იძურწებიან სოროებიდან, ფაფუკი კუდებით ხვეტენ ქუჩების ჭუჭყს. ისინი გლაზგოში ძალიან უყვართ.

გლაზგო აღარ არის რელიგიური ქალაქი. ერთ-ერთმა იქაურმა გვითხრა, ორი ისეთი ეკლესია ვიცი, ოფისებად რომ გადააკეთესო.

ტარტანის ქვედაბოლოში გამოწყობილი კაცები მთელი შოტლანდიიდან ჩამოვიდნენ გლაზგოში. სქოთებს მაინცდამაინც არ უყვართ, შოტლანდიის დამოუკიდებლობაზე თუ დაულაპარაკები, მათ უნდათ უინგლისოდ ცხოვრება, მაგრამ ეს არ შეუძლიათ — ვითარება ასეთი ჩანდა.

შოტლანდია — საქართველო სქოთურმა მედიამ დრამატულ მატჩად შერაცხა. ჟურნალისტებმა სტენოგრაფიულად დაადგინეს, რა უთხრა ალექს მაკლიშმა მოედანზე შესვლის წინ კრეიგ ბიტის. მწვრთნელის დარიგების ბოლო სიტყვები ასეთი ყოფილა: „გადი მოედანზე და გოლი გაიტანე, გახდი გმირი“.

მეორე დღეს გლაზგოური გაზეთების სათაურები კრეიგ ბიტიზე იყო აწყობილი — კალამბურები, სიტყვათა თამაში, მეტაფორები — ყველაფერი ფოლკირკელ ბიტიზე!

„სანდი მეილმა“ კი ორივე გუნდის ფეხბურთელები შეაფასა, უმაღლესი შეფასება 10 ბალი არავის დაუწერა, ორივე გუნდიდან ყველაზე მაღალი შეფასება ბარი ფერგიუსონს ერგო — 9. ჩვენებურთა შეფასებები ასეთი იყო: გიორგი ლომაია — 7, ზურაბ ხიზანიშვილი — 6, ლაშა სალუქვაძე — 6, გიორგი შაშიაშვილი — 6, ზაალ ელიავა — 6, ლევან კობიაშვილი — 6, გოგიტა გოგუა — 4, ლევან ცქიტიშვილი — 5, ვლადიმერ ბურდული — 5, შოთა არველაძე — 6, გიორგი დემეტრაძე — 8.

ასეთი შეფასებები ყოველთვის სუბიექტური და საკამათოა, ნამდვილია შედეგი და ევროშესარჩევის ცხრილი, მაგრამ ისიც ნამდვილია, რომ საქართველოს ნაკრები ახლა იწყებს განვითარებას და ჩამოყალიბებას. მხოლოდ ერთი წელია, რაც სახელმწიფო რეალურად ეხმარება ნაკრებს და წარუმატებლობებმა ხელისუფლებას ასეთ დახმარებაზე ხელი არ უნდა აალებინოს, დახმარება უფრო ეფექტურ და მიზანმიმართულ პოლიტიკაზე გათვლილი უნდა გახდეს.

შოტლანდიელებს კი ორგანიზაციული საკითხები ალბათ არ ესწავლებათ — შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ჯონ მაკბეთი ფიფას ალმასკომის წევრია, ხოლო გენმდივანი დევიდ ტეილორი მალე უეფას გენმდივანი გახდება.

**დავით თავართქილაძე**



# ქართველური მიმოხილვა

დადგა გაზაფხული და ათამაშდა ყველაფერი, რაც გვაწუხებს: წნევა, პულსი, ნევროზი, საქართველოს ნაკრები... წნევას ადელფანი არეგულირებს, პულსს ვალიდოლი, ნევროზს ტაზეპამი, საქართველოს ნაკრებს — ვერაფერი.

ეხლა ვიღაცა მეტყვის, ფეხბურთელებმა ხომ მოინდომესო. მოინდომეს, როგორ არა, მაგრამ როგორ იყო იცით? დამთავრდა თუ არა შოტლანდიაში მატჩი, ნერვიულობისგან გადაფითრებულმა მიუნხენში მეგობარს დავურეკე და ისეთ ხმაზე ვეყაყანე, მგონი, ტელეფონი საჭირო არც იყო, პირდაპირ ესმოდა — პირველი ტაიმში ვჯობდით, ასე, ისე და კიდევ ისე იყო მეთქი, მან კი ნერვებისმომშლელად მშვიდი ხმით მიპასუხა, მერე რა, ბოლოს მაინც ვინ მოიგო ხო ნახეო.

ჰოდა, რა დასკვნა გავაკეთო ახლა, ამ გაზაფხულზე?

რა ვიცი, აბა.

ისე, ერთი, ალბათ, ეს არის: ქართველი რომ ხარ, უნდა წააგო.

მეორე, სავარაუდოდ, ასეთია: ჯობს ტოპმიოლერი გავუშვათ, თორემ ასე უფრო ვნერვიულობთ. თუ მაინცდამაინც წაგებაა, ძველებურად პირველ თხუთმეტ წუთში უკვე 0:3 რომ იყოს, უფრო მოვისვენებთ.

და მესამე, დიდი ბოდიშის მოხდით, შესაძლოა, ასეთი იყოს: როდესაც გუნდი ძლივს რაღაცას დაგიმსგავსებია და ცოტ-ცოტა შიგ გლაზგოში ინიციატივაც კი აქვს, დაანებე რა თავი... რატომ აშორებ შენი ხელით მეტოქის საჯარიმოდან დემეტრაძეს? დემეტრაძის უკან დახევითა და წინ სირაძე-არველაძის დატოვებით (ისინიც ხშირად უკან ჩამოდიოდნენ, არა?) რაიმე მოვიგეთ? პირიქით, თუ არ ვცდები, შოტლანდიელებმა სწორედ ამ ცვლილების შემდეგ მოიპოვეს უპირატესობა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ სულმა წაგვძლია და ლაზათიანი 4-4-2 ჩვენთვის ცოტა გაპრანჭული და უფრო რთული ტაქტიკის სიყვარულს ვანაცვალეთ — ასეთ დროს კი, თუ ეტყვი, სქემა რატომ გადააწყვეო, ზოგი მწვრთნელი გპასუხობს, არ გადამიწყვიაო, ხოლო თუ ეტყვი, იგივე რატომ დატოვეო, გეტყვის, იგივე როგორ დავტოვე, სამ თავდამსხმელზე გადაველი, უბრალოდ, ამ თავდამსხმელებს გასაკონტროლებლად უკან ზონებიც ებარათ, აბა, ისე როგორო.

ეჰ, რა ვიცი, 54-სანტიმეტრიანი დიაგონალის მქონე ტელეეკრანიდან ასე მეჩვენა და თუ ვცდები, ბოდიში მომითხოვია.

თან ისიც კარგად მესმის, რომ ამ შეხვედრაში კარგიცა და ცუდიც ერთი და იმავე ადამიანების შექმნილი იყო და ეს ხალხი რომ მოგიბრუნდეს, მარტო ცუდი რატომ დაინახეო, რა გინდა, უპასუხო? ვითომ იმას იტყვი, წაგებები მომბეზრდაო?

მოკლედ, გაზაფხულია და დავიბენი. ძალიან დავიბენი.

**ბაჩუნა ძედია**



ქართველური მიმოხილვა



გიორგი ლომაიამ კრის ბოიდს ერთი მაგარი ბურთი აუღო

# გორდონმა ქართველებს ტექნიკა და მეკარე მოუწონა

**შოტლანდიის** ნაკრების მეკარე კრეიგ გორდონს საქართველოსთან მატჩში დიდი სამუშაო ნამდვილად არ ჰქონია — ერთხელ გიორგი დემეტრაძეს გამოუძრო ბურთი, შოთა არველაძის გოლში კი მას ბრალი ნამდვილად არ მიუძღვის. მატჩის შემდეგ გორდონმა თავის გუნდს მტკიცე ხასიათი მოუწონა და საქებარი სიტყვები ჩვენს ნაკრებზეც თქვა.

— თამაშს ბოლო წუთამდე ისეთი პირი უჩანდა, თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ იტალიასთან თამაშის წინ ფრე ხელს არანაირად არ გვაძლევდა. ყველაფერი გავიღეთ, რომ სასურველი შედეგისთვის მიგვეღწია.

— ვიცოდით, რომ მეტოქე ხელწამოსაკრავი არ იყო. ბევრი ოფლის ღვრა და ძალისხმევა დაგვჭირდა. ქართველები ძალიან ტექნიკურები არიან და საშიშნი, როდესაც ბურთი მათ აქვთ. მათი მეკარეც რიგიანად ირჯებოდა.

— ჩვენი მიზანი იყო, დაცვაში კარგად გვეთამაშა და გამოგვეყენებინა ის მომენტი, როდესაც ბურთს ჩვენ გავაკონტროლებდით. ეს შევძელით და გამარჯვებაც მოვიპოვეთ. ახლა იტალიაში კარგ ხასიათზე ჩავალთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**






31.03.2007 მე-18 ტური

| | |
|---|---|
| ბორჯომი-ამერი | ოლიმპი-მერანი |
| დილა-ტორპედო | სამტრედია-ვიტ ჯორჯია 2 |
| დინამო (თბ) -სიონი | მესხეთი-მგლები |
| ბათუმი-კახეთი | როტ ვაისი-მიუნხენ 1860 |
| ჩიხურა-ზესტაფონი | ბრაუნშვაიგი-ფრაიბურგი |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | |

# ტორპედოს ტორპედოს არ ესვრიან

## კიდევ ერთ თვეს გაუძლით

**სალორიის** ბაზაზე ისევ უკუნია. კომუნალური დავალიანების გამო დენგათიშულ ბაზას ფეხბურთელები სახლებიდან მხოლოდ დღისით აკითხავენ, წაივარჯიშებენ და ისევ შინ ბრუნდებიან. უფულობის გამო გუნდი თამაშისწინა შეკრებასაც ვერ ახერხებს. ის კი არა, სათუო იყო, მოახერხებდა თუ არა „ტორპედო" მორიგ ტურში, 31 მარტს გორში წასვლას, მაგრამ ბოლო მომენტში ქუთაისელებმა ეს პრობლემა მოაგვარეს.

რა ხდება „ტორპედოში" და რა ელის საქართველოს სამგზის ჩემპიონს, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. სიტუაციაში გასარკვევად კლუბის დირექტორ ვლადიმერ კაკაურიძეს დავუკავშირდით...

— გუნდში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ასეთი რამ ამხელა საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქალაქის გუნდს არ ეკადრება. ელემენტარული პირობებიც კი არ არის. კლუბის ხელმძღვანელობა ქალაქის მერთან ვიყავით და გარკვეულ დახმარებას დაგვპირდნენ. ვნახოთ, რა გამოვა — გვითხრა კაკაურიძემ.

ქალაქის მერ ნიკო კაჭკაჭიშვილსაც დავუკავშირდით და „ტორპედოში" შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე ვესაუბრეთ...

— ძნელია, აღწერო კაცმა ის ვითარება, რაც ახლა „ტორპედოშია". უბრალოდ, ქალაქს იურიდიულად არ აქვს უფლება, ამ ეტაპზე გუნდს სპონსორობა გაუწიოს. ჩვენ დახმარებას იმით გამოვხატავთ, რომ კლუბს მოვუხსნით კომუნალური გადასახადების და ბაზის დაცვის პრობლემას. ამასთან ვცდილობთ, „ტორპედოს" სპონსორი მოვუძებნოთ.

— გამოჩნდა ვინმე, რომელიც დაინტერესებულია „ტორპედოთი"?

— არის რამდენიმე ვარიანტი. კონკრეტულად დასახელებისგან ჯერ თავს შევიკავებთ, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმ ერთ თვეში გადაწყდება. მანამდე შევეცდებით, „ტორპედოს" როგორმე თავი გავატანინოთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ახალგაზრდულის ოთხიანი

**თურქულ** შეკრებაზე მყოფი საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები „ტრაბზონსფორის" გუნდს გაეჯიბრა და 4:0 მოიგო. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი იუწყება, რომ ტრაპიზონელებმა ძირითადის ფეხბურთელებიც ათამაშეს.

პირველი გოლი შოთა კაშიამ გაიტანა მე-15 წუთზე, ხუთ წუთში ლადო დვალიშვილმა და მერე 30-ზე ხორგუაშვილმა დაამწუხრეს თურქები, წერტილი კი 70-ე წუთზე შოთა გრიგალაშვილმა დასვა პენალტით.

პეტარ სეგრტის გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: რ. კვასხვაძე (დგებუაძე), ლობჟანიძე (დაუშვილი), ხუბუტია, შ. კაშია, ელბაქიძე, მახარაძე, ჩირიკაშვილი (ჩიმაკაძე), ხორგუაშვილი (კობახიძე), ხოხონიშვილი (გრიგალაშვილი), დვალიშვილი (კვარაცხელია), კახელიშვილი (ნავალოვსკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანიამ გერმანიაც გააკვირვა და ჩეხეთიც



„ასეთი მეტოქე დიდი ხანია, არ გვყოლია" — როცა ჩეხეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი კარელ ბრიუკნერი მოწინააღმდეგეს ასე აქებს, ალბათ გერმანელები მართლაც უძლიერესნი იყვნენ.

ამ თამაშმა 13,24 მილიონი მაყურებელი მიაჯაჭვა ტელევიზორს და პრაღაში 2:1 მოგების შემდეგ გერმანიამ ევროშესარჩევი ჯგუფიდან გასვლა თითქმის რეალობად აქცია.

ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი, რა თქმა უნდა, კმაყოფილია: „საუკეთესოდ და უშეცდომოდ არასდროს არაფერი ხდება, მაგრამ ეს ჩვენი საუკეთესო თამაში იყო".

გერმანელთა მომაჯადოვებელ ფეხბურთს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ ქვეყანაშიც და ჩეხეთშიც. ლიოვმა კი პოპულარულ „ბილდს" მოგების რამდენიმე „საიდუმლო" გაუმხილა...

**წესი პირველი:**

**ვარჯიში, ვარჯიში, ვარჯიში!**

„არანაირი დაყოფა, ყველა ფეხბურთელმა უნდა ისწავლოს ერთმანეთის თამაში. მაგალითად, ნახევარმცველმა თვალდახუჭულმაც უნდა იცოდეს, როგორ დარბის თავდამსხმელი და ყველაფერი სწრაფ ტემპში უნდა გააკეთოს".

**წესი მეორე:**

**მეტოქის შეცდომა**

„ბურთის მოპოვება, რაც შეიძლება, სწრაფად — ორთაბრძოლებშიც და მაშინაც, როცა შევიწროვებულ მეტოქეს შეცდომის დაშვებას აიძულებ. და როცა ბურთი უკვე შენ გაქვს, უმალ უნდა შეუტიო".

**წესი მესამე:**

**იყავი მუდამ ამოუცნობი**

„ფეხბურთელმა უნდა გააცნობიეროს, რა გამოაჩინოს და რა არა. მწვრთნელმა კი უნდა შეძლოს, გაკეთებული შეცვლით მოწინააღმდეგე გააოცოს".

**ნინო სილაგაძე**



AFP




AFP

# დაისვენეთ, ბიჭებო!

**გერმანიის** ნაკრების მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა ჩეხეთთან 2:1 მოგების შემდეგ ძირითადი შემადგენლობის რვა ფეხბურთელი სახლში გაუშვა და ხვალ დანიასთან ამხანაგურ მატჩში გადახალისებული გუნდით ითამაშებს. დასვენების უფლება მისცეს მიხაელ ბალაკს, იენს ლემანს, ფილიპ ლამს, ლუკას პოდოლსკის, ბასტიან შვაინშტაიგერს, ტორსტენ ფრინგსს, პერ მერტესაკერს და ბერნდ შნაიდერს. სანაცვლოდ უხმეს ფრიცს, მადლუნგს, შულცს და ფრაიერს. მათ გარდა ლიოვი სადანიოდ კიდევ რამდენიმე ფეხბურთელს გამოიძახებს. ამხანაგური შეხვედრა დუისბურგში გაიმართება.

ჩეხურმა მედიამ კი კარელ ბრიუკნერს გადადგომისკენ მოუწოდა. ყოველდღიურმა „სპორტმა" დაწერა, რომ ევრო 2004-ის შემდეგ ნაკრებს დიდ გუნდებთან აღარ მოუგია.

„თუ მწვრთნელი რადიკალურად არ შეცვლის სტილს და თანამედროვე ვარჯიშების მეთოდებს არ შემოიღებს, უნდა წავიდეს" — წერს „სპორტი".

მედიამ ისიც აღნიშნა, პეტრ ჩეხის კარგი თამაში რომ არა, შევრცხვებოდითო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# დაბადების დღე 47 400 დოლარად

**ჩეხეთის** ფეხბურთის ფედერაციამ ტომაშ უიფალუშის დაბადების დღეზე ღრეობისთვის ნაკრების ფეხბურთელები 47 400 დოლარით დააჯარიმა.

გერმანიასთან მარცხის მერე ბიჭები სასტუმროში შეიკრიბნენ და ჭიქები აჭახუნეს — უიფალუშს 29 წელი შეუსრულდა.

ფედერაციის წარმომადგენელმა ლუკაშ ტუჩეკმა განაცხადა, რომ წაგების მერე ქეიფი უადგილო იყო და თავის წილ ჯარიმას ყველა ფეხბურთელი გადაიხდის.

**ვაჟა ხუციშვილი**



ტომაშ უიფალუშს დაბადების დღე ჩაშწარდა

# იანსენი მიუნხენში ნაწილებად გადადის

## ბაიერნის შანსი ლამაზი ქალია

**21 წლის** მიონხენგლადბახელი მცველი მარსელ იანსენი ჩეხებთან 2:1 მოგებულ მატჩში დაუბრუნდა გერმანიის ეროვნულ ნაკრებს და თანაც როგორ — ჟურნალისტებმა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ამას, რა თქმა უნდა, ხედავენ მიუნხენის „ბაიერნი" და ბრემენის „ვერდერი" და იანსენს თავისკენ ექაჩებიან.

და ერთი საინტერესო დეტალიც: „ბილდმა" გამოჩხრიკა, რომ მარსელ იანსენის მეგობარი გოგონა უკვე მიუნხენში ცხოვრობს.

22 წლის მოდელი იულია გოედიკე უკვე ექვსი თვეა, მარსელს ჰყვარობს, თუმცა ახლა ისინი საკმაოდ იშვიათად ხედავენ ერთმანეთს. ფეხბურთელიც „გლადბახის" დატოვებას ამად აპირებს.

იანსენის მრჩეველი გერდ ფონ ბრუხი: „დიახ, მარსელით რამდენიმე ბუნდესლიგური კლუბია დაინტერესებული, მაგრამ ჯერ ძნელია რაიმეს თქმა. წარმოუდგენელია, მარსელი „გლადბახს" მეორე ბუნდესლიგაში ჩაჰყვეს — მას სულ სხვა ამბიციები და მიზნები აქვს".

იანსენს „გლადბახთან" კონტრაქტი 2009 წლამდე აქვს, თუმცა იმედი აქვს, რომ კლუბის ხელმძღვანელობის დაყოლიებას შეძლებს: „თუ „გლადბახი" არ გამიშვებს, მაშინ კონტრაქტის შესრულება მომიწევს, მაგრამ ისიცაა, რომ „ბაიერნმა" ყველა იყიდა, ვინც ოდესმე მოსურვებია..."

**ნინო სილაგაძე**





# ვერდერმა ჩილეში იპოვა

**გერმანული** „შპორტალის" ცნობით, „ვერდერი" ფორვარდს ეძებს და ჩილეს „კოლო კოლოში" უმბერტო სუაზოს მიაგნო. მართალია, მიროსლავ კლოზეს ახალი კონტრაქტი და თითქმის გაორმაგებული ჯამაგირი შესთავაზეს, მაგრამ ხელი ჯერ არ მოუწერია. მეორე ფორვარდ ივან კლასნიჩს კი თირკმელი გადაუნერგეს და მხოლოდ სამი თვის შემდეგ შეძლებს თამაშს. ამიტომ ეძებს „ვერდერი" თავდამსხმელს და სუაზო 4 მილიონი ევრო დაუჯდება.

# ანგელოსი ნიურნბერგისთვის

„**ნიურნბერგის**" თავდამსხმელი მარკუს შროტი სეზონის ბოლოს მიდის და მისი შემცვლელის ძიებაში გუნდი ანგელოს ხარისტეასს მიადგა, რომელიც ამჟამად როტერდამის „ფეიენოორდშია".

ხარისტიასმა ევრო 2004-ზე გამოიჩინა თავი, თორემ „ვერდერში" და „აიაქსში" ყოფნისას სათადარიგოთა სკამს ხეხავდა. მას „ნიურნბერგში" გადასვლის შემთხვევაშიც დიდი კონკურენცია ელის, რადგან იქ ივან საენკო, მარეკ მინტალი და რობერტ ვიტეკი დახვდებიან.

# შტურმი და გრაცერი დაჩეხეს

**ავსტრიული** საფეხბურთო ლიგის შეფებმა გუშინ „შტურმი" და „გრაცერი" დასაჯეს — ორივე გუნდს ქულები დააკლეს, რადგან ლიგის ფინანსურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ.

„შტურმს" 10 ქულა ჩამოაჭრეს და 19 დარჩა, ხოლო „გრაცერს" — 20 და ერთიღა შერჩა. მეორე უფრო მკაცრად იმის გამო დაისაჯა, რომ ლიცენზიის აღებისას წესები დაარღვია.

ამგვარად, „გრაცერი" ბოლო ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო „შტურმი" ბოლოსწინაზე.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ღრიალი გასახდელში
## რუნი ყოფილან ეს ინგლისელები



სტივ მაკლარენს ასეთი რუნი უნდა

**სტივ მაკლარენმა** უეინ რუნის პირში მიახალა, 2004 წლის მერე კარგად არ გითამაშიაო — შაბათს ისრაელთან 0:0-ის შემდეგ ინგლისელთა მწვრთნელმა თავის ბიჭებს მკვახე-მკვახეები არ მოაკლო, რუნის კი ყველაზე მეტი მოხვდა.

მოკლედ, სტივენ მაკლარენმა ყველა კარგად გამოლანძღა, მაგრამ რუნი ყველასგან გამოარჩია და იმდენი თათხა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავს ნერვებმა უმტყუნა — გასახდელში მაისურა ისროლა.

ისე, რა უთხრა მაკლარენმა რუნის ისეთი, რაც სტატისტიკურადაც არ მტკიცდება? ჩავხედოთ დავთრებს. ვნახავთ, რომ 21 წლის თავდამსხმელს, რომელზედაც ამ ბოლო დროს ამბობენ, ეგ მთლად თავდამსხმელი არ არის და ამიტომ უნდა ვაპატიოთ უგოლობაო, 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ხორვატებთან ორი გოლის გატანის შემდეგ მეტოქის კარში ბურთი არ შეუგდია. მაშინ ჯგუფის თამაში ინგლისმა 4:2 მოიგო.

თელ ავივში კი რუნის „ბოლტონის" მცველ ტალ ბენ ჰაიმთან მოუვიდა ჯერ საფეხბურთო და მერე მამლაყინწური კონტრა. რუნი ამტკიცებდა, რომ ბენ ჰაიმი მას მთელი თამაშის განმავლობაში ეუხეშებოდა და ეს გულში ისე ჩარჩა, რომ თამაშის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ გვირაბშიც კი სცადა მასზე გაწევა.

მოგვიანებით მასპინძლებმა გაზეთებში დაწერეს, რომ მანჩესტერელი ვარსკვლავის ღრიალი უკვე ინგლისელთა გასახდელიდან ისმოდა...

რაც შეეხება სტივ მაკლარენს, როგორც ადრეც გაცნობეთ, ის ყველაზე მეტად საგოლე მომენტების განიავებით გახლდათ განრისხებული.

„ჩვენ ხუთ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გავიტანეთ და ამ ვერგატანის საქმეში თავი ყველაზე მეტად სწორედ რუნიმ გამოიჩინა. არადა, ქულების მოსაპოვებლად გოლების გატანაა საჭირო" — თქვა მწვრთნელმა.

მეორე მხრივ კი, ამბობენ, რომ ასეთი ქცევით მაკლარენი ინგლისის ნაკრებში ურთიერთობებს აფუჭებს და მომავალში უარესს უნდა ველოდეთ. ნაკრებთან დაახლოებულმა მავანმა პიროვნებამ ჟურნალისტებს უთხრა:

„მაკლარენმა ეს ყველაფერი შეიძლება, მართლაც ველარ შემოატრიალოს. საქმეში ჩახედულთაგან უმრავლესობას ეჭვი ეპარება, რომ სტივის ხელმძღვანელობიდან რამე გამოვა. მას მხარს აღარც პრესა უჭერს, აღარც ფანობა და ბოლო ხანს ფეხბურთელებიც შემოსწყრნენ".

**პაპუნა ჰედია**



## თუ თანაშემწე არ შეეწევა...

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე ტერი ვენეიბლზი შეფთან მჭიდრო თანამშრომლობას აღარ ეშურება — ვენეიბლზმა შეამჩნია, რომ სტივ მაკლარენი მის რჩევებს ერთ ყურში რომ შეუშვებს, მეორედან გაუშვებს ხოლმე.

საერთოდ, მაკლარენსა და ვენეიბლზზე ამბობენ, რომ ისინი დიდი მეგობრობით არასდროს გამოირჩეოდნენ, მეორე მხრივ კი, ვენეიბლზი მწვრთნელის ასისტენტად იმიტომ დაინიშნა, რომ მაკლარენმა მის დიდ გამოცდილებაზე ისურვა დაყრდნობა.

არის სხვა მოსაზრებაც: მაკლარენი, რომელიც ინგლისის უმაღლეს საფეხბურთო წრეებში არავის პროტეჟე არ არის, ვენეიბლზთან თანამშრომლობით მის მფარველთა თავისკენ გადაბირებას ფიქრობდა.

ჩასაფრებულმა ჟურნალისტებმა შეამჩნიეს, რომ შაბათს, ისრაელისა და ინგლისის ნაკრებთა შესარჩევი მატჩის დროს, მაკლარენი და ვენეიბლზი ერთად მხოლოდ 25 წუთი ისხდნენ, შემდეგ კი მაკლარენი დაბლა, მოედნის კიდესთან ჩავიდა. ვენეიბლზი ტრიბუნაზე თამაშის მე-80 წუთამდე დარჩა, მერე კი საქმიდან ასეთ განცალკევებას ველარ გაუძლო და ისიც დაბლა ჩავიდა, იქნებ ფეხბურთელებს მეც რამით დავეხმაროო.

სხვათა შორის, საჯაროდ ვენეიბლზი მაკლარენს ყოველთვის მხარს უჭერს, ნაცნობ-მეგობრებში კი ამბობს, მის ასისტენტობას რომ დავთანხმდი, ვაი თუ შევცდიო...

**პაპუნა ჰედია**

# ფული, ბაბა, ბევრი ფული...

**სტივ მაკლარენს** ისრაელთან ნათამაშევი 0:0, შესაძლოა, თანამდებობად დაუჯდეს, რაც მისტერ მაკლარენისთვის მხოლოდ თავმოყვარეობის შელახვა კი არა, 2,3 მილიონი გირვანქის დაკარგვაც იქნება — ინგლისელთა მწვრთნელი, ხელშეკრულების თანახმად, 2010 წლამდე უნდა გაუძლვეს საქმეს.

ჯერჯერობით მისტერ მაკლარენი მხოლოდ რვა თვეა, რაც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ამბიციურ გუნდს ხელმძღვანელობს მაგრამ, ამბიცია ერთია და, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის შეფების შიში, რომ ეს მწვრთნელი გუნდს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე ვერ გაიყვანს, მეორე.

კიდევ რისი შიში შეიძლება ჰქონდეთ ინგლისური ფეხბურთის შეფებს? იმის, რომ მაკლარენის თანამდებობიდან გაშვების შემთხვევაში საკომპენსაციო თანხის, 7,5 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევთ? გააჩნია... თუ ისინი მაკლარენს ახლავე დაითხოვენ (სანამ ნაკრების მწვრთნელობის ერთი წელიწადი არ შესრულებია), კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, მაკლარენს არაფერიც არ ერგება.

ოფიციალურად, ფეხბურთის ასოციაციის შეფმა ბრაიან ბერვიკმა მაკლარენი დაიცვა, მაგრამ სინამდვილეში მოთმინებას საზღვარი აქვს. გარდა ამისა, თუ ინგლისი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავა, ასოციაციამ შესაძლოა, წარმოუდგენელი ზარალი ნახოს, დიდძალი ფული კი ისეთი რამ არის, ხშირად მეგობრობა არ იცის. ხუმრობა ხომ არ არის, სულ ახლახან აგებული ახალი „უემბლი" 800 მილიონი გირვანქა დაჯდა, მისი 90 ათასი ადგილის შევსება კი სუსტი გუნდით შეუძლებელია.

კი მაგრამ, ვინ უნდა შეცვალოს მისტერ დამარცხებული მაკლარენი? ფანები ასოციაციაში მეილებს აგზავნიან, „ბოლტონის" მწვრთნელმა სემ ალარდაისმაო.

**პაპუნა ჰედია**



AFP

# რა დროს ფეხბურთია?!



კონგოში დიდი ფეხბურთისთვის არავის სცხელა

**აფრიკის** ერთა თასის შესარჩევ ეტაპზე კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ეთიოპიისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ მატჩი გადაიდო.

თამაში კონგოს დედაქალაქ კინშასეში იყო დაგეგმილი და თითქოს საეჭვოც არაფერი ჩანდა, თუმცა მატჩის წინა დღეს კინშასეში ისეთი არეულობები მოხდა, ასზე მეტი ადამიანი დაიღუპა და ორი ამდენიც დაშავდა.

სისხლისღვრა და კონგო ბიძაშვილებივით არიან, მაგრამ ასეთი მასშტაბის ბრძოლები ბოლო ხანს არ მომხდარა.

მთავრობასთან დაპირისპირებული ჟან-პიერ ბემბა, ვინც ცოტა ხნის წინ საპრეზიდენტო არჩევნები წააგო, ამ შეჯახების შემდეგ სამხრეთ აფრიკაში გაიქცა.

ჯერჯერობით უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს აფრიკის ფეხბურთის კონფედერაცია...

**ბახა შალამბერიძე**

# ინგლისის ჩემპიონი ცნობილია

**როდესაც** გაქებენ, სასიამოვნოა, მაგრამ როდესაც მოქიშპე დაგაფასებს, სიამაყე ორმაგდება — „მანჩესტერ იუნაიტედი" და მისი პორტუგალიელი ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ „არსენალის" მცველმა გაელ კლიშიმ ადიდა.

დაბადებით ტულუზელმა ფრანგმა, რომელიც „არსენალამდე" „კანში" გამოდიოდა, თქვა, რომ მანჩესტერელებს ამ სეზონში ვეღარავინ შეაჩერებს, ხოლო რონალდუსნაირი ფეხბურთელი არსად უნახავს.

„მანჩესტერის გუნდი კოლექტიურად არის ძალიან ძლიერი, თუმცა იმავდროულად ისეთი ფეხბურთელებიც ჰყავს, რომელთაც რონალდუს მსგავსად, თამაშის ბედის გადაწყვეტა შეუძლიათ. ხოლო, რაც შეეხება რონალდუს, დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ მისი დონის ფეხბურთელი პირადად მე სხვა არ შემხვედრია. ის სწრაფია, ტექნიკური და ჭკვიანი. 2004 წელს ფეხბურთის ასოციაციის თასის ნახევარფინალში ჩვენ „მანჩესტერს" შევხვდით და წავაგეთ, მაგრამ ამ სამწუხარო შედეგის მიუხედავად, სახლში იმ დღეს გადაღებულ ფოტოს ვინახავ და ძალიან ვუფრთხილდები. ახლა მთავარია, „იუნაიტედმა" დაშავებული ფეხბურთელები მალე დაიბრუნოს და თუ ეს შეძლო, ჩემპიონობას ველარავინ შეეცილება".

და რას ფიქრობს კლიში თავის „არსენალზე"? მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, ის დარწმუნებულია, რომ „მეთოფენი" სეზონის ბოლოს კარს გვარიანი ხმაურით გაიჯახუნებენ:

„ჩვენ ყველაფერი 11 დღეში წავაგეთ. დავმარცხდით „კარლინგის" თასის ფინალში „ჩელსისთან", ჩემპიონთა ლიგაში „პსვ ეინდჰოვენთან" და ფეხბურთის ასოციაციის თასზე „ბლექბერნთან", მაგრამ სწორედ ამ უიღბლობის გამო არის საჭირო სეზონის ღონივრად ჩამთავრება. აუცილებლად მესამე ადგილი უნდა დავიკავოთ, რათა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში პირდაპირ ჯგუფში მოვხვდეთ".



**პაპუნა ჰედია**



# რონალდუს რეალის მაისურა ჩაუტანეს

## კრიშტიანუ ბექემი

პორტუგალიელმა კრიშტიანუ რონალდუმ თავის კარიერაში ერთ-ერთი რთული ნაბიჯი უნდა გადადგას — „მანჩესტერის“ ვარსკვლავმა ივნისამდე უნდა გადაწყვიტოს, სამომავლოდ „ოლდ ტრაფორდზე“ დარჩება თუ მადრიდის „რეალის“ თეთრ მაისურას მოირგებს. ანუ მომავალი რამდენიმე თვე მისთვის ძალიან დაძაბული იქნება.

როგორც თავის დროზე დევიდ ბექჰემთან დაკავშირებით ხდებოდა, რონალდუსაც ვეებერთელა თეთრი ჩრდილი წამოეფარა თავს და „მანჩესტერიც“ გვარიანად ნერვიულობს — ამ ჩრდილმა ხომ ბექჰი გაიტაცა.

ინგლისური კლუბის უფროსობა ცდილობს, კრიშტიანუსთან კონტრაქტის 2012 წლამდე გახანგრძლივება მალე მოაკვარახჭინოს.

„იუნაიტედი“ ხელშეკრულების განახლების შემთხვევაში ფეხბურთელს ჯამაგირის მომატებასაც ჰპირდება, მედია კი რონალდუს შმაგად უთვალთვალებს, იქნებ პორტუგალიელ ვარსკვლავს „მანჩესტერთან“ ახალ კონტრაქტზე ან „რეალში“ სავარაუდო გადაბარგებაზე რაიმე დავაცდენინოთო.

## ნაკრებში შეჩხერილი რეალი

რონალდუმ შაბათს ევრო 2008-ის შესარჩევში ბელგიას ორი გოლი გაუტანა და მასთან დაკავშირებული სატრანსფერო ორომტრიალიც გამძაფრდა. ჟურნალისტები რონალდუს თითქოს ბელგიის მოსპობაზე ეკითხებოდნენ, თუმცა როგორც კი ეშმაკურად „რეალის“ და „მანჩესტერის“ თემა „შემოაგდეს“, კრიშტიანუმ პირში წყალი ჩაიგუბა და პრესკონფერენციის დამსწრენიც იძულებულნი გახდნენ, ისევ სანაკრებო თემებზე ელაპარაკათ.

როგორც ამბობენ, რონალდუმ და მისმა აგენტმა, გაქნილმა ჟორჟე მენდეშმა მოილაპარაკეს, რომ მოთამაშე უახლოეს მომავალში „რეალის“ თაობაზე გადაჭრით ჰოს ან არას თქმას სასტიკად მოერიდება.

## ესპანეთი: ჰო, ინგლისი: არა

„ამბობენ, რომ „რეალი“ ჩემში უზარმაზარი თანხის გადახდას აპირებს. ყოველთვის სასიამოვნოა, როცა გესმის, რომ ასეთი გრანდი შენ შეძენას გეგმავს. ანუ მადრიდელებმა კრიშტიანუ რონალდუს ნაღდი ფასი იციან და ჩემი ფეხბურთი მოსწონთ. ფულის ნაკლებობას ნამდვილად არ ვუჩივი, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის კარიერაა და ყველაფერს გავაკეთებ, რათა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი გავხდე“ — უთხრა პორტუგალიელმა ესპანელ ჟურნალისტებს.

გუშინდელი „სანი“ კი სხვა ინფორმაციას გვაწვდის. ინგლისურ მედიას თუ დავუჯერებთ, რონალდუს „რეალის“ გაგონებაც არ უნდა და „მანჩესტერის“ გარდა ქვეყნად არაფერი აინტერესებს.

— „ოლდ ტრაფორდზე“ თავს ბედნიერად ვგრძნობ და მინდა, აქ კიდევ დიდი ხანი ვითამაშო“ — უთქვამს სამხრეთელ ვარსკვლავს ალბიონელებთან.

ეს „სანი“, თორემ ორმაგი თამაშის მოყვარულ კრიშტიანუს მადრიდულ „ასთან“ ასე ჯიქურ სიტყვა არ დასცდენია „მანჩესტერის“ სიყვარულზე.

## სასტუმროში შეპარულა ასი

„ასის“ ჟურნალისტი გუშინ იმ სასტუმროში შეიჭრა, სადაც პორტუგალიის ნაკრებია დაბინავებული და რონალდუს კისერზე ხანჯალივით მიაბჯინა კითხვა, მადრიდში მოდიხარ თუ მანჩესტერში რჩებიო.

კრიშტიანუს არაფერი უპასუხია, ლიფტში შესულა და კარის დახურვამდე ღიმილით უთქვამს: „პირდაპირ ვერაფერს გეტყვით, საერთო ინტერესების გამო მადრიდსა და ჩემს მომავალზე ვერ ვილაპარაკებ...“

მერე გაუჩინარდა, ხოლო ჟურნალისტმა იმედიანად დაწერა, რახან მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა, ესე იგი, რაღაცაშია საქმეო...

მადრიდში ყველა დარწმუნებულია, რომ 22 წლის ფენომენს სიგიჟემდე სურს კასტილიურ გრანდში გადასვლა. რონალდუს მეგობრები და ჟორჟე მენდეშიც ცეცხლზე ნავთს ასხამენ — სერ ალექს ფერგიუსონთან და „მანჩესტერის“ უფროსობასთან იფიცებიან, პორტუგალიელი ინგლისში რჩებაო, ხოლო „რეალის“ წარმომადგენლებთან საპირისპირო ამბობენ — რას ამბობთ, კრიშტიანუ სამეფო გუნდთან შეთანხმებას დღეს თუ არა, ხვალ გააფორმებსო.

## ფიგუს სიტყვა

რონალდუს ეშხიანი ბურთაობით გაგიჟებულ მადრიდს ერთი ძალიან მაგარი მაჭანკალი ჰყავს — სახელგანთქმული ლუიშ ფიგუ. ძველ რეალელს მანჩესტერელ თანამოძმეზე დიდი გავლენა აქვს და ამას „სანტიაგო ბერნაბეუს“ სასარგებლოდ იყენებს. ამბობენ, ფიგუს და რონალდუს შეხვედრა ისე არ ჩაივლის, ვეტერანმა ახალგაზრდა მეგობარს მადრიდისა და „რეალის“ ბრწყინვალებაზე არ ჩამოუგდოს სიტყვაო...

ლუიშმა სამეფო გუნდის შემადგენლობაში „ოქროს ბურთი“ მოიგო. გარდა ამისა, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ რონალდუს სხვა კერპები, ზინედინ ზიდანი და რონალდო ბურთაობდნენ. ამის გამო კრიშტიანუს (მადრიდული მედიის ცნობით) დღედაღამ „რეალი“ ელანდება და იქ გადასვლაზე ოცნებობს. რამდენჯერმე პორტუგალიელი მადრიდში ინკოგნიტოდაც ჩასულა და იქაურობა მოწიწებით დაუთვალიერებია — გადაბირების ამბავში ფიგუს ორატორული ნიჭი ჯერჯერობით ამართლებს...

## მაისურა უკვე არის

ეს კიდევ რაა — რონალდუს სახლში (ვაზუსტებთ: მანჩესტერულ სახლში!) მადრიდის „რეალის“ მაისურა ჰქონია, 25 ნომრით და ზურგზე... თავისი გვარით.

„გჩუქნი მაისურას, რომელსაც 25 ნომერი აწერია. ეს იმიტომ, რომ „რეალს“ 24 ფეხბურთელი ჰყავს და მომავალში 25-ე შენ იქნები“ — უთქვამს კრიშტიანუსთვის მავან მეგობარს (მისი ვინაობა არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში, ეს ფიგუ არ არის) და თეთრი მაისურაც მიუცია.

ჟორჟე მენდეშს კი ჟურნალისტებმა კრინტი ვერ დააძვრევინეს. აგენტი მედიასთან წარმატებით ფინტაობს და არაფრისმთქმელ ფრაზებს ათამაშებს. მაგალითად: „ყველაფერი მომავალში გაირკვევა“, ან „ჯობს, ამ თემაზე საუბრისგან ახლა თავი შევიკავოთ“.

სამაგიეროდ, „ასს“ გამოუჭერია რონალდუს ერთ-ერთი მეგობარი, ვისაც გულახდილად ულიარებია: „ცხადია, კრიშტიანუს „მანჩესტერთან“ კონტრაქტის განახლება არ უნდა. ამით საქმეს უკიდურესად ირთულებს და შეიძლება, სასურველი „რეალიც“ გვერდზე დარჩეს“.

მოკლედ, პორტუგალიელ ფენომენზე ინგლისსა და ესპანეთს შორის დიდად დაძაბული სატრანსფერო ჯახია. კრიშტიანუ რონალდუ კი სულელი ხომ არაა, პრესასთან აყვირდეს, „რეალში“ გადავდივარო — სეზონის დამთავრებამდე ხომ კიდევ საკმაო ხანი დარჩა.

## და ერთიც

ფიგუს გარდა რონალდუს კიდევ ერთი მოძღვარი ჰყავს — პორტუგალიის ნაკრების თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი. გაზეთები, ესპანურიც და ინგლისურიც, ერთხმად ამტკიცებენ, რასაც „ფელიპაო“ ურჩევს, კრიშტიანუც იმას გადაწყვეტსო.

საინტერესოა, „ფელიპაო“ მანჩესტერელია თუ რეალელი?

**ლადო ხომერიკი**

# რა ფული მოგინდათ? ემანუელი, კადერი და ნიბომბე ტოგოდან გაყარეს




**ტოგოს** ნაკრების მოჯანყე ფეხბურთელი ემანუელ ადებაიორი და მისი ორი დამქაში ეროვნული გუნდიდან მოკვეთეს — ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად განაცხადა. დამქაშები არიან კადერ კუგბაჯა და ნიბომბე დარე.

ადებაიორმა ფედერაციის წინააღმდეგ აჯანყება შარშან ზაფხულს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე დაიწყო. ის და მისი მეგობრები მუნდიალზე გასვლის სანაცვლოდ შეპირებულ პრემიას ითხოვდნენ, რომელიც 122 ათას ევროს შეადგენს და ჯერაც არ მიუღიათ.

გასულ ოთხშაბათს აფრიკის ეროვნებათა თასის შესარჩევ შეხვედრაში სიერა ლეონესთან ტოგომ 3:1 იმარჯვა და ადებაიორმა დუბლი შეასრულა. ნამატჩევს კი თქვა: „უკვე მერამდენედ მემუქრებიან სიკვდილით. თუ უარს არ იტყვი ნაკრებში თამაშზე, მოგკლავთო. ამ მატჩის წინაც მივიღე მუქარა და დავფიქრდები, ღირს თუ არა ეროვნულ გუნდში თამაში“.

ნაკრებში გამოსვლა კი ადებაიორმა ორჯერ იუარა. პირველად შარშან თებერვალში აპირებდა ბოიკოტის გამოცხადებას, როცა აფრიკის ეროვნებათა თასის ფინალურ ეტაპზე მოხვედრისთვის შეპირებული პრემია ვერ მიიღო და ბოლო მომენტშიღა გადაწყდა ეგვიპტეში მისი ჩასვლა. მეორედ კი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ატეხა ამბავი. ტოგოს ფეხბურთის ფედერაციამ კი აჯანყება ნაკრებიდან ფეხბურთელების გაძევებით ჩააქრო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გამოკითხვის პასუხები

**ისრაელ — ინგლისის** მატჩის შემდეგ, რომელიც უგოლოდ დასრულდა, ინგლისურმა ვებგვერდმა SOCCERNET-მა გამოკითხვა მოაწყო. „მოხვდება თუ არა ჩვენი ნაკრები ევრო 2008-ზე?“ — ამ კითხვას 50 ათასმა რესპონდენტმა უპასუხა. 46 პროცენტს მიაჩნია, რომ მოხვდება იმ შემთხვევაში, თუ სტივ მაკლარენს მოხსნიან. 29 პროცენტის აზრით, ინგლისი აუცილებლად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატზე, ხოლო 28-მ განაცხადა, რომ ბრძოლა უკვე წაგებულია.

## გაუმაძღარი მანჩესტერი

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი“ თანაქალაქელი „სიტის“ მცველ მიკ რიჩარდსის ყიდვას აპირებს. ინგლისის ნაკრების 18 წლის ფეხბურთელის გარდა, სერ ალექს ფერგიუსონის სამიზნეზე არიან ოუენ ჰარგრივსი („ბაიერნი“), გარეტ ბეილი („საუთჰემპტონი“), დეკუ („ბარსელონა“) და ნანი („სპორტინგი“).

პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგაც რომ მოიგოს, ფერგიუსონს მაინც სურს ჩამოთვლილი ფეხბურთელებით გაძლიერება. იანვარში „ჩელსიმ“ „სიტის“ რიჩარდსის სანაცვლოდ 18 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო.

აღსანიშნავია, რომ ბოლო 70 წლის განმავლობაში „სიტიდან“ „მანჩესტერში“ მხოლოდ ორი მოთამაშე გადავიდა.

ხსენებული ფეხბურთელების გარდა, „სანდი ექსპრესის“ ცნობით, „მანჩესტერის“ სკაუტები აიაქსელი უესლი სნეიდერითაც დაინტერესდნენ. ისინი ხშირად ესწრებოდნენ „აიაქსის“ მატჩებს კლაას-იან ჰუნტელაარის გამო, რომელიც ალბათ უფრო „იუვენტუსში“ გადავა. სნეიდერის შეძენა „ბარსელონას“, „ასტონ ვილას“ და „მილანსაც“ უნდათ.

## იაროშიკი სელტიკიდან სიტიში

**გლაზგოს** „სელტიკის“ ჩეხი ნახევარმცველი ირჟი იაროშიკი, ვისაც მანამდე „ჩელსიში“ და მოსკოვის ცსკა-ში უთამაშია, შესაძლოა, „მანჩესტერ სიტიში“ აღმოჩნდეს. იაროშიკმა „სელტიკის“ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და პრემიერლიგაში დაბრუნება უნდა.

ჩეხის შეძენა „სიტის“ მწვრთნელ სტიუარტ პირსს სურს და თუკი გუნდი პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებს, ხოლო პირსი პოსტს, იაროშიკი ალბათ სიტელი გახდება.

## ბიკეის ლოკომოტივიდან ჩახსნიან

**„რედინგი“** ამ ზაფხულს მოსკოვის „ლოკომოტივისგან“ ანდრე ბიკეის კონტრაქტის გამოსყიდვას აპირებს, რაც მილიონ 500 ათასი გირვანქა დაუჯდება. ბიკეი „ლოკოდან“ განათხოვრებულია და „რედინგი“ 22 წლის კამერუნელ მცველს ოთხწლიან ხელშეკრულებას სთავაზობს.

რედინგელები „ასტონ ვილას“ ირლანდიელი ნახევარმცველის სტივენ დევისის შეძენასაც ცდილობენ, რომელიც 2 მილიონი გირვანქა ღირს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კატალონიური მომავალი თუ... ვინ მიდის და ვინ მოდის?


ლილიან ტურამი


ტიერი ანრი

**რა** მოხდება სამომავალსეზონოდ „ბარსელონაში"? ესპანური გაზეთების ცნობით, შესაძლოა, გუნდი ექვსმა ფეხბურთელმა დატოვოს, მათში აღებული თანხით კი კატალონიური გრანდის უფროსობა ოთხი სასურველი მოთამაშის ყიდვას აპირებს.

თუ იქაურ მედიას ვენდობით, კლუბის ვარსკვლავები (რონალდინიო, სამუელ ეტოო, ლიონელ მესი და დეკუ) არსად წასვლას არ აპირებენ და „ბარსასთან" თანამშრომლობას გააგრძელებენ. თუმცა კატალონიელებს განაპირა და ცენტრალური მცველები, ძლიერი ნახევარმცველი და ცენტრფორვარდი ესაჭიროებათ, რის გამოც, სავარაუდოდ, რამდენიმე მობურთალს გაასხვისებენ.


სილვინიო


არიენ რობენი


წამსვლელთა სიაში არიან ლილიან ტურამი, ტიაგო მოტა, სილვინიო, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, ჟულიანო ჰაუს ბელეტი, ლუდოვიკ ჟიული, ეიდურ გუდიონსენი და სანტი ესკერო. „ასის" ცნობით, თუ რაიმე მოულოდნელი არ მოხდა, ხსენებულ ფეხბურთელთა უმრავლესობა გაისად სხვაგან ითამაშებს.


ლუდოვიკ ჟიული


კრიშტიანუ რონალდუ


და ვის შეიძენს ხუან ლაპორტას ბანაკი? მანჩესტერელ კრიშტიანუ რონალდუს თვალი მადრიდისკენ გაურბის, თუმცა რახან სამეფო თეთრებს პორტუგალიელთან ხელშეკრულება არ გაუფორმებიათ, იგი „ბარსას" სატრანსფერო სამიზნეზეც რჩება. ასევე უმიზნებენ არსენალელ ტიერი ანრის (რომელსაც კატალონიელები უკვე კარგა ხანია, ეკურკურებიან) და ჩელსელ ფრენკ ლამპარდს (ვისაც კატალონიელი საცოლე ჰყავს). შემდეგ მოდიან ასევე ჩელსელი არიენ რობენი და „ლივერპულის" ხაბი ალონსო.


ბელეტი


ხაბი ალონსო

აგრეთვე ლაპარაკია „სევილიას" დანი ალვეშის და „ბოკა ხუნიორსის" როდრიგო პალასიოს გადაბირებაზეც.

„ტრანსფერების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, მწვრთნელ ფრანკ რაიკარდს შევეკითხებით. თუ ფრანკმა რომელიმე ფეხბურთელი არ მოიწონა, უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ჩვენთან ვერასდიდებით ვერ მოხვდება" — განუცხადა ჟურნალისტებს „ბარსელონას" სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა.


ეიდურ გუდიონსენი


როდრიგო პალასიო


ახლა რაც შეეხება „ბარსელონა B"-ს. რაიკარდს თვალწინ აქვს ჩინებული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მთავარ გუნდში თავი გამოიჩინონ. ეს თავის დროზე ლეო მესიმ და ანდრეს ინიესტამ გააკეთეს, ახლა კი მექსიკელი ჯოვანი დოს სანტოსის და გაესპანელებული სერბის ბოიან კარკიჩის ჯერია. კარკიჩი, როგორც ამბობენ, შესაბამისი გამოცდილების უქონლობის გამო კვლავაც ფილიალში დარჩება, აი, „მეორე რონალდინიოდ" წოდებულ დოს სანტოსს კი ძირითად გუნდში უკვე ივლისიდან ვიხილავთ...


ჟიო


ფრენკ ლამპარდი



ტიაგო მოტა


დანი ალვეში

**ლადო ხომერიკი**

## მე ვლაპარაკობ, შენ მისმენ!

**რობერტო მანჩინი** დათანხმდება „ინტერთან" კონტრაქტის გახანგრძლივებას, თუ პრეზიდენტი მასიმო მორატი პირობებს დაუკმაყოფილებს — ეს შეეხება ჯამაგირსაც და გუნდის გაძლიერებასაც. მანჩინის ხელშეკრულება ამ ზაფხულს იწურება და იტალიური მედიის ცნობით, ის მალე შეხვდება პრეზიდენტს.

„ინტერი" 18 ქულით უსწრებს „რომას" და ჩემპიონობა თითქმის განაღდებული აქვს. მიმომხილველებიც წერენ, რომ ჩემპიონ მანჩინის მორატისთან მოლაპარაკებისას უპირატესობა ექნება — მწვრთნელი თანაშემწეების რაოდენობის გაზრდას და მაღალი კლასის ფეხბურთელების ყიდვას მოითხოვს. პირველ რიგში მას „ჩელსიდან" ჯონ ტერის გადაბირება და ახალი თავდამსხმელი სურს. გარდა ამისა, მანჩინის უნდა, მუქთა ფეხბურთელები, მაგალითად, ადრიანო და რეკობა, რომლებიც ხელფასს იღებენ და გუნდს ვერაფერში ადგებიან, გაიყიდონ.

## ახალმა ძველს დღეები დაუთვალა

**„ხეტაფეს"** მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა, რომელსაც „რეალის" თავკაცობას უწინასწარმეტყველებენ, გერმანულ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ ფაბიო კაპელოს „რეალის" სათამაშო ფილოსოფიისა არაფერი გაეგება.

„მომავალ სეზონში კაპელო მადრიდში აღარ იქნება — თქვა შუსტერმა — მას მხოლოდ გამარჯვება უნდა ნებისმიერი ხერხით, არადა, „რეალში" სულ სხვა ფილოსოფიაა".

## დედა ვნახე, მამა ვნახე

**„სანდი მირორმა"** გამოჩხრიკა, რომ ესპანური „მალიორკას" 17 წლის ფორვარდ ემილიო ნსუეს გადაბირებას „ჩელსი" ცდილობს. ლონდონელთა წარმომადგენლები წინა კვირაში შეხვდნენ მალიორკელ კოლეგებს, ფეხბურთელის მშობლებს და აგენტს.

ორი წლის წინ „არსენალიც" იყო დაინტერესებული ნსუეთი და „ლივერპულიც" ჩართულია ფეხბურთელის ტრანსფერში, რომელსაც ესპანეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია.

ახალგაზრდა ფორვარდს „მალიორკასთან" ნახევრადპროფესიული კონტრაქტი აკავშირებს 2012 წლამდე და მისი ფასი დაახლოებით 15 მილიონი ევროა, თუმც „ჩელსის" ნაკლებადაც შეუძლია ყიდვა იმის გამო, რომ კონტრაქტი ნახევრადპროფესიულია.

ლონდონელები მას ოთხწლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ.

## როსიცკი თითქმის ფიგუა

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტი" ამტკიცებს, რომ „ინტერი" ტომაშ როსიცკის ტრანსფერზე ფიქრობს. „შავ-ლურჯებს" ჩეხი ლუიშ ფიგუს შემცვლელად უნდათ, რადგან პორტუგალიელი ამ ზაფხულს მიდის. ინტერელების აზრით, როსიცკის ნახევარდაცვაში ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში და თითქმის უნივერსალია.

ჩეხი ფეხბურთელის ფასი დაახლოებით 15 მილიონი ევროა.

## ტონი იას მიატოვებს

**იტალიურმა** „გაძეტა დელო სპორტმა" გაარკვია, რომ ლუკა ტონიმ „ფიორენტინადან" წასვლა გადაწყვიტა. მსოფლიოს ჩემპიონი ერთ-ერთ იტალიურ გრანდში გადავა და ალბათ ეს „იუვენტუსი" იქნება. ტონის „ფიორესთან" კონტრაქტი 2009 წელს ეწურება, მისი ჯამაგირი მილიონ 500 ათასი ევროა და უნდა, რომ ორმაგი მიიღოს. ფეხბურთელს უკვე უთქვამს თანაგუნდელებისთვის წასვლის შესახებ და ფლორენციული სახლის გაყიდვასაც აპირებს.

## სამეულის ბრალი

**რუმინეთთან** 0:0-ით უკმაყოფილო ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა ჯოხი სამ ფეხბურთელზე გადატეხა — სლოვენიასთან სახვალიო მატჩის წინ გუნდიდან გაუშვა მცველები, კოუ ჯალიენსი და ტიმ დე კლერი, ასევე ნახევარმცველი დენი ლანძაატი.

## რომარიო: დარჩა ერთი!

**ჭაღარა** რომარიომ 999-ე გოლი შეაგდო და ერთიღა დარჩა ოცნებამდე. მისმა „ვასკუ და გამამ" „ფლამენგოს" უმასპინძლა „მარაკანაზე" და 3:0 დაამარცხა. რომარიომ 79-ე წუთზე შეაგდო, შვიდი წუთის შემდეგ კი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბრუნომ ათასი არ შეასრულებინა. არადა, 41 წლის ფორვარდს „მარაკანაზე" უნდოდა მეათასეს გატანა, რადგან პელემაც ამ სტადიონზე „დაამრგვალა".

მომდევნო მატჩი „ვასკუ და გამას" „ამერიკანოსთან" აქვს „სან ჟენარუს" სტადიონზე და რომარიომ თქვა, კლუბის პრეზიდენტს უნდა ვთხოვო, ეგებ მატჩი „მარაკანაზე" გავმართოთო.

## ჩხუბის დეტალები

**გუშინ** გაირკვა დეტალები ჩხუბისა, რომელიც ტალინში, ესტონეთ — რუსეთის მატჩის შემდეგ მოხდა. ქალაქის მთავარ მოედანზე გახარებული რუსი ფანები შეიკრიბნენ, სადაც მათ ათზე მეტი თავგადაპარსული ნეონაცისტი ესტონელი დახვდათ. პოლიცია უმალ იქ გაჩნდა, ნაცისტებს რაღაც უთხრა და გაქრა. მერე კი მუშტი-კრივი ატყდა. ჯერ ესტონელს დაარტყეს, რომელიც პირქვე დაეცა და ვიწრო ქუჩაში ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. რამდენიმე წუთში პოლიცია ისევ გამოჩნდა — რუსებიდან ზოგი გაიქცა, ზოგი დაიჭირეს, ნეონაცისტებიდან კი ყველა განყოფილებაში მიაბრძანეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# არიგოს მუსიკა და ჰარმონია

## რეალი და ბარსელონა ძალიან უცნაურ ჩემპიონატში თამაშობენ

**მადრიდის „რეალის" ყოფილმა სპორტულმა დირექტორმა არიგო საკიმ კასტილიური გრანდის დღევანდელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს საფეხბურთო ხედვა გააკრიტიკა, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ მისი თანამემამულე „დიდი დამრიგებელია". არიგო ორიოდ დღის წინ ესპანეთში სტუმრად გახლდათ და იქაურმა მედიამაც იტალიელთან გასაუბრების შანსი ხელიდან არ გაუშვა. ცნობილმა სპეციალისტმა „სევილია" შეაქო, „ბარსელონა" კი დაიწუნა — საკის აზრით, მისმა მეგობარმა ფრანკ რაიკარდმა წლეულს თავის სტილს უღალატა...**



— ესპანეთში მაშინ ჩამოხვედით, როცა პრიმერადივიზიონში სიტუაცია ძალიან დაიძაბა. „რეალთ" კი სალიდერო პოზიციებს ხუთი ქულით ჩამორჩება. გჯერათ, რომ მადრიდელები წლეულს ჩემპიონები გახდებიან?

— ალბათ გახდებიან, რადგანაც ძალიან უცნაურ ჩემპიონატში თამაშობენ. აბა, პრიმერადივიზიონის გარდა რომელ ევროპულ ლიგაში შეიძლება, ლიდერს მარტო ხუთი ქულით ჩამორჩებოდე მას შემდეგ, რაც შვიდი მატჩი წააგე?! წლეულს ესპანეთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— ანუ ფაბიო კაპელოს ბიჭების საჩემპიონო შანსები რეალურია?

— ვერაფერს გეტყვით, რადგანაც წინასწარმეტყველი არ გახლავართ. ჩემი აზრით, ვინც ყველაზე მეტად იმსახურებს ჩემპიონობას — „სევილიაა". ანდალუზიელებს უმაღლესი დონის ფეხბურთელები არ ჰყავთ, მაგრამ ჰარმონიულად თამაშობენ. „სევილია" რომ მუსიკალური ორკესტრი იყოს, საოცარ ბგერებს გააჟღერებდა. მათი „მუსიკა" სხვა გუნდების კაკაფონიისგან განსხვავდება.

**— „სხვებში" კაპელოს „რეალს" ხომ არ გულისხმობთ, რომელმაც წლეულს სანახაობრივად მაყურებელს ღირებული ვერაფერი შესთავაზა?**

— კაპელო ყველას იმით აჩუმებდა, რომ ტიტულებს იგებდა. იგი დიდი დამრიგებელია, მაგრამ გულშემატკივრებს არ უყვართ, რადგანაც მის ფეხბურთში არც ჰარმონიაა და არც პოეზია. კაპელოს გუნდები მგლებივით მარტო მეტოქის შეცდომებს დარაჯობენ, რათა წამსვე ყელი გამოღადრონ. საერთო ჯამში, ვფიქრობ, რომ კაპელო მადრიდის „რეალისთვის" იდეალური მწვრთნელი არ არის.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი თანამემამულე გაისადაც სამეფო თეთრების მწვრთნელი იქნება?**

— ამას ნაკლებად ვვარაუდობ, თუმცა თუ კაპელომ „რეალს" წლეულს ჩემპიონობა მოუტანა, სიტუაცია მის ირგვლივ შეიძლება შეიცვალოს. საერთოდ კი, მწვრთნელი ნაყოფიერად მაშინ მუშაობს, როცა გარშემო მყოფნი სწორად აზროვნებენ.

**— „რეალის" მომავალ მწვრთნელად რაფაელ ბენიტესსაც ასახელებდნენ, თუმცა მან გამოაცხადა, რომ „ლივერპულის" მიტოვებას არ აპირებს. ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— ბენიტესი თავისი მიღწევებით არასდროს ტრაბახობს, რადგანაც ღირსეული და თავდაჭერილი კაცია. არადა, ამავდროულად ფენომენალური მწვრთნელია. რაც მან „ვალენსიაში" და, უპირველეს ყოვლისა, „ლივერპულში" დაამტკიცა.

**— ბარსელონაში ჩამოსვლისას თავი უხერხულად ხომ არ იგრძენით? არიგო საკი ხომ „რეალის" სპორტული დირექტორი იყო...**

— ყოველთვის, როცა ბარსელონაში ჩამოვდივარ, თავს მშვენივრად ვგრძნობ. ეს ადგილი ძალიან მომწონს. თანაც ბარსელონაში ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარი, ფრანკ რაიკარდი ცხოვრობს. იგი დიდი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მე რაიკარდს უფრო იმით ვაფასებ, რომ დიდი პიროვნებაა. მოთამაშეობის დროს სწრაფი აზროვნებით და გონების სისხარტით გამოირჩეოდა — ამიტომაცაა, როგორც მწვრთნელმა, წარმატებებს რომ მიაღწია. „ბარსა", წლევანდელი ჩავარდნების მიუხედავად, ესპანეთში კვლავ ნომერ პირველ ფავორიტად რჩება.

**— რაიკარდის „ბარსელონა" ლა ლიგას „სევილიასთან" ერთად ლიდერობს. თქვენ ჩავარდნები ახსენეთ — ეს არასტაბილურობა რისი ბრალია?**

— ჯერ ვთქვათ, რომ პრიმერაში მადრიდელთა გამარჯვება მინდა, რადგან თავს ისევ რეალელად ვგრძნობ. მე მიყვარს „რეალი". „ბარსამ" კი წლეულს თავის სტილს, ოცნებას და სათამაშო ოპტიმიზმს უღალატა. თუ ფეხბურთელები გუნდურად არ იმოქმედებენ, ინდივიდუალისტები, რაც უნდა ძლიერნი იყვნენ, მაინც დაიჩაგრებიან. ეს ნაკლი რაიკარდმა ბოლო მატჩებში გამოასწორა, ვნახოთ, მომავალში რა მოხდება...

**— კატალონიელებმა შარშან ლა ლიგა და ჩემპიონთა ლიგა ერთად მოიგეს. თქვენ როგორ ფიქრობთ, „ბარსას" დიდი წარმატებების შემდეგ ჯილდოთა წყურვილი აღარ აწუხებს?**

— რასაკვირველია, ორსეზონიანი წარმატებული პერიოდის შემდეგ ყოველთვის დგება დრო, როცა ფეხბურთელები დასვენებაზე, მოდუნებაზე ფიქრს იწყებენ. სწორედ მაშინაა, გულშემატკივრები და მედია მოთამაშეებს გულგრილობაში და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებაში რომ ადანაშაულებენ. ვისურვებდი, „ბარსასთვის" ეს პერიოდი მალე დასრულებულიყოს და ამას ტოტალური ცვლილებები არ მოეტანოს. „ბარსელონა" დიდი გუნდი იყო, ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. რონალდინიოც დიდი ფეხბურთელია, რადგანაც ფინტებთან ერთად პასებსაც აკეთებს. თუმცა წლეულს, შარშანდელისგან განსხვავებით, გუნდს თავდაჯერებულობა მართლა ეტყობა, არც პრესინგს მიმართავენ... ასე გამარჯვების მიღწევა ძნელი იქნება...

**— თან „ბარსა" ტრავმებმაც შეაწუხა — სამუელ ეტოო და ლეო მესი გაიხსენეთ...**

— ეტოო შესანიშნავი მეგოლეა, მესი კი ახალგაზრდა და ფანტასტიკური ტალანტია. მაგრამ „ბარსას" პრობლემა ტრავმები კი არა, საჭირო მოტივაციის უქონლობაა. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ კატალონიური გუნდი თავის ჩვეულ, წარმტაც სტილს დაიბრუნებს — „ბარსელონა" მსოფლიოს საბაგალითო გუნდია... თუმცა „რეალში" ყოფნისას ეს რამდენჯერმე მეც მწარედ განვიცადე.

**— „მილანს" რონალდინიოს შეძენა უნდა. ამის შესახებ რა იცით?**

— ვერაფერს მოგახსენებთ, გარდა იმისა, რომ ჭირივით მძულს, როცა ფეხბურთელებს გამუდმებული სატრანსფერო შეთავაზებებით სიცოცხლეს უმწარებენ.

# კარლოსს სტამბულის გზაზე ზეიმით გააცილებენ

## ვეტერანი ბრაზილიელი კალენდარში ვერ ჯდება




**მადრიდის** „რეალმა" რობერტო კარლოსის საბენეფისო მატჩისთვის მზადება უკვე დაიწყო — თავხოტორა ბრაზილიელი კასტილიურ გრანდს 30 ივნისს დატოვებს და თურქულ „ფენერბაჩეში" გადაბარგდება. „სანტიაგო ბერნაბეუზე" კი აპირებენ, სახელგანთქმული მცველი საზეიმოდ გააცილონ.

რობერტომ 11 წელიწადი ითამაშა მადრიდში, ამ გუნდის ბურჯი იყო და „რეალის" პრეზიდენტი რამონ კალდერონიც მისთვის შესაფერისი გაცილების მოწყობას აპირებს. კარლოსს ლუიშ ფიგუსა და რონალდოს ბედის გაზიარება არ ემუქრება — ესენი ხომ, შესაბამისად, „ინტერში" და „მილანში", „ბერნაბეუს" უკანა კარიდან, ჩუმად და უსახელოდ გაილალნენ.

ზეიმის მოწყობას ხელს კალენდარი უშლის და ახლა „რეალს" შესაბამისი თარიღის გამოძებნა უნდა, თუმცა ეს არც ისე ადვილი საქმე ჩანს.

გაირკვა, რომ პრიმერადივიზიონის დამთავრებამდე მატჩი არ შედგება, რადგანაც „რეალი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და ასეთ რთულ დროს სხვა თამაშზე ყურადღების გადატანა გამართლებული არ იქნება.

ვარაუდობენ, რომ რობერტოსთან გამოსათხოვარ შეხვედრას სამეფო თეთრები ამერიკული ტურნედან დაბრუნების შემდეგ მოაწყობენ — ეს ტურნე 19 ივნისს, ლა ლიგის ფინიშიდან ორი დღის მერე დაიწყება და 9 დღეს გასტანს.

არის სხვა ვარიანტიც: „სანტიაგო ბერნაბეუზე" კარლოსის მომავალი გუნდი „ფენერბაჩე" დაპატიჟონ და ღირსეულ „ბრაზილიეროს" ასე გამოემშვიდობონ. „რეალი" ხომ რობერტოსთვის 1996 წლიდან მშობლიურ კერასავით იყო...

კარლოსი მადრიდში გუშინ ჩავიდა. იქამდე კლუბის ნებართვით, 15 დღის განმავლობაში სამშობლოში იმყოფებოდა ტრავმის მოსარჩენად (8 მარტს „ბაიერნთან" დაშავდა). ახლა სამეფო გუნდის ექიმები ბრაზილიელს გასინჯავენ და დაადგენენ, ვეტერანი „სელტასთან" კვირას ითამაშებს თუ არა...

**ლადო ხომერიკი**

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:45 | 1 | ლივერპული-არსენალი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 2 | ბოლტონი-შეფილდი | 1.60 | 3.40 | 6.20 | 1.08 | 1.27 | 2.19 |
| 18:00 | 3 | ჩარლტონი-უიგანი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 4 | ფულემი-პორტსმუთი | 2.10 | 3.20 | 3.40 | 1.26 | 1.29 | 1.64 |
| 18:00 | 5 | მანჩესტერი-ბლექბერნი | 1.30 | 4.80 | 10.00 | 1.02 | 1.15 | 3.24 |
| 18:00 | 7 | ნიუკასლი-სიტი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 8 | ვესტ ჰემი-მიდლსბრო | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 20:15 | 9 | უოტფორდი-ჩელსი | 9.00 | 4.50 | 1.32 | 3.00 | 1.15 | 1.02 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 11 | ტოტენჰემი-რედინგი | 1.70 | 3.30 | 5.20 | 1.12 | 1.28 | 2.01 |
| | | 2 აპრილი | | | | | | |
| 23:00 | 12 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2.50 | 3.20 | 2.75 | 1.40 | 1.30 | 1.47 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 18:00 | 13 | ბარნსლი-დერბი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 14 | ბარნლი-ლუტონი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 15 | კარდიფი-სანდერლენდი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 18:00 | 16 | კოლჩესტერი-ნორვიჩი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 17 | კრისტალ პალასი-უენსდი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 18:00 | 18 | ჰალი-საუთენდი | 2.00 | 3.20 | 3.60 | 1.23 | 1.28 | 1.69 |
| 18:00 | 19 | იფსვიჩი-პლიმუთი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 18:00 | 20 | ლიდსი-პრესტონი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 21 | ქპრ-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 18:00 | 22 | სტოუკი-ლესტერი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 18:00 | 23 | ვულვზი-საუთჰემპტონი | 1.95 | 3.20 | 3.75 | 1.21 | 1.28 | 1.72 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 24 | ბირმინგემი-ქოვენთრი | 1.55 | 3.50 | 6.30 | 1.07 | 1.24 | 2.25 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 25 | როტერჰემი-ბლეკპული | 2.75 | 3.10 | 2.35 | 1.45 | 1.26 | 1.33 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 37 | შრიუსბერი-როჩდეილი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 22:45 | 38 | უიკომბი-როვერსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 51 | ალდერშოტი-ვეიმუთი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 22:45 | 52 | ალტრინჰემი-სტ.რეინჯერსი | 1.95 | 3.30 | 3.30 | 1.22 | 1.22 | 1.64 |
| 22:45 | 53 | ქროული-უოკინგი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 22:45 | 54 | ფორესტ გრინი-ექსეტერი | 2.60 | 3.30 | 2.40 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 22:45 | 55 | გრეისი-რაშდენი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 22:45 | 56 | კიდერმინსტერი-ბარტონი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 22:45 | 57 | მორკამბი-ნორთვიჩი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 22:45 | 58 | საუთპორტი-ჰალიფაქსი | 2.40 | 3.20 | 2.65 | 1.37 | 1.25 | 1.44 |
| 22:45 | 59 | ტემუორთი-გრეივსენდი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 22:45 | 60 | იორკი-სტივენეიჯი | 1.90 | 3.30 | 3.45 | 1.20 | 1.22 | 1.68 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 15:30 | 73 | დანდი იუნ.-სელტიკი | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 18:00 | 75 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 18:00 | 76 | კილმარნოკი-აბერდინი | 2.60 | 3.40 | 2.30 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 18:00 | 77 | მაზერუელი-დანფერმლაინი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 78 | რეინჯერსი-ინვერნესი | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 80 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 22:45 | 561 | არბროთი-ისტ სტირლინგი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 30 მარტი | | | | | | |
| 22:30 | 97 | არმინია-დორტმუნდი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 96 | ბაიერნი-შალკე | 1.85 | 3.30 | 4.00 | 1.18 | 1.26 | 1.80 |
| 17:30 | 99 | კოტბუსი -ვერდერი | 3.90 | 3.30 | 1.85 | 1.78 | 1.25 | 1.18 |
| 17:30 | 102 | მაინცი-ლევერკუზენი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 17:30 | 103 | მიონხენგლადბახი-აინტრახტი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 17:30 | 104 | ნიურნბერგი-ჰერტა | 1.95 | 3.20 | 3.65 | 1.21 | 1.27 | 1.70 |
| 17:30 | 105 | შტუტგარტი-ალემანია | 1.65 | 3.50 | 4.80 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 98 | ბოხუმი-ჰანოვერი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 19:00 | 101 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1.80 | 3.40 | 4.20 | 1.17 | 1.25 | 1.87 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 116 | ჰამბურგი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 1.65 | 3.50 | 4.40 | 1.12 | 1.20 | 1.94 |
| 21:30 | 118 | დინამო-ვუპერტალი | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| 21:30 | 120 | კოლი-ვილჰელმშავენი | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| 21:30 | 122 | ოსნაბრიუკი-ვერდერი(მ) | 1.70 | 3.30 | 4.10 | 1.12 | 1.20 | 1.82 |
| 21:30 | 123 | ერფურტი-დორტმუნდი(მ) | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 21:30 | 124 | ზტ.პაული-ემდენი | 1.85 | 3.30 | 3.65 | 1.18 | 1.22 | 1.73 |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 117 | ალენი-ჰერტა(მ) | 1.60 | 3.50 | 4.70 | 1.09 | 1.19 | 2.00 |
| 20:15 | 119 | დიუსელდორფი-ლიუბეკი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 20:00 | 121 | გლადბახი(მ)-უნ ბერლინი | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამ.)** | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 19:30 | 562 | კარლსრუე(მ)-აალენი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 166 | რეჯინა-სიენა | 1.90 | 2.90 | 4.50 | 1.14 | 1.33 | 1.76 |
| 22:30 | 167 | რომა-მილანი | 2.35 | 2.90 | 3.10 | 1.29 | 1.33 | 1.49 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 17:00 | 159 | ატალანტა-ფიორენტინა | 3.10 | 2.80 | 2.40 | 1.47 | 1.35 | 1.29 |
| 17:00 | 160 | კალიარი-მესინა | 1.90 | 2.90 | 4.40 | 1.14 | 1.32 | 1.74 |
| 17:00 | 161 | კიევო-სამპდორია | 2.40 | 2.90 | 3.00 | 1.31 | 1.33 | 1.47 |
| 17:00 | 162 | ემპოლი-ასკოლი | 1.55 | 3.40 | 6.50 | 1.06 | 1.25 | 2.23 |
| 17:00 | 163 | ინტერი-პარმა | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 17:00 | 165 | ლივორნო-კატანია | 2.00 | 2.90 | 4.00 | 1.18 | 1.33 | 1.68 |
| 17:00 | 168 | ტორინო-პალერმო | 2.55 | 2.80 | 2.80 | 1.33 | 1.33 | 1.39 |
| 22:30 | 170 | უდინეზე-ლაციო | 2.75 | 2.80 | 2.65 | 1.38 | 1.34 | 1.36 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 31 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 202 | ბარსელონა-დეპორტივო | 1.35 | 4.10 | 9.00 | 1.01 | 1.17 | 2.81 |
| 20:00 | 204 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.20 | 3.10 | 3.20 | 1.28 | 1.30 | 1.57 |
| 22:00 | 212 | სოსიედადი-ლევანტე | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 213 | ვალენსია-ესპანიოლი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 201 | ატლეტიკო-მალიორკა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 21:00 | 205 | სელტა-რეალი | 4.40 | 3.20 | 1.80 | 1.85 | 1.27 | 1.15 |
| 19:00 | 207 | ხეტაფე-სარაგოსა | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 19:00 | 208 | ტარაგონა-უელვა | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| 23:00 | 209 | ოსასუნა-სევილია | 3.60 | 3.20 | 2.00 | 1.69 | 1.28 | 1.23 |
| 19:00 | 211 | რასინგი-ბილბაო | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | 1 აპრილი | | | | | | |
| 19:00 | 303 | აეკ-ეგალეო | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 19:00 | 304 | არისი-ერგოტელისი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |
| 19:00 | 305 | ატრომიტოსი-პანიონიოსი | 2.10 | 3.00 | 3.40 | 1.23 | 1.29 | 1.59 |
| 19:00 | 306 | კალამარია-პანათინაიკოსი | 4.00 | 3.10 | 1.90 | 1.74 | 1.28 | 1.17 |
| 19:00 | 307 | კერკირა-ირაკლისი | 2.10 | 3.10 | 3.30 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 308 | ოლიმპია-ოლიმპიაკოსი | 3.70 | 3.00 | 2.00 | 1.65 | 1.29 | 1.20 |
| 19:00 | 309 | ოფი-იონიკოსი | 1.12 | 7.00 | 12.00 | 1.00 | 1.02 | 4.42 |
| 19:00 | 310 | პაოკ-ქსანთი | 1.65 | 3.30 | 5.20 | 1.10 | 1.25 | 2.01 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ევ 2008** | | | | | | |
| | | შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 19:25 | 415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 1.10 | 7.00 | 20.00 | 1.00 | 1.04 | 5.18 |
| 20:00 | 416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.47 | 3.70 | 7.00 | 1.05 | 1.21 | 2.42 |
| 21:30 | 417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 9.00 | 3.80 | 1.40 | 2.67 | 1.21 | 1.02 |
| 21:30 | 418 | ლიხტენშტაინი-ლატვია 1:0 | 2.45 | 3.60 | 2.10 | | | |
| 22:45 | 419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 5.40 | 3.40 | 1.65 | 2.08 | 1.26 | 1.11 |
| 22:30 | 420 | პოლონეთი-სომხეთი | 1.11 | 7.00 | 22.00 | 1.00 | 1.05 | 5.31 |
| 22:30 | 421 | პოლონეთი-სომხეთი 0:2 | 1.80 | 4.20 | 2.85 | | | |
| 22:45 | 422 | სლოვენია-ჰოლანდია | 5.50 | 3.40 | 1.60 | 2.10 | 1.23 | 1.08 |
| 23:45 | 423 | ესპანეთი-ისლანდია | 1.11 | 7.00 | 22.00 | 1.00 | 1.05 | 5.31 |
| 23:45 | 424 | ესპანეთი-ისლანდია 0:2 | 1.80 | 3.80 | 2.60 | | | |
| 19:00 | 425 | უკრაინა-ლიტვა | 1.30 | 4.50 | 10.00 | 1.00 | 1.15 | 3.10 |
| 19:00 | 426 | უკრაინა-ლიტვა 0:1 | 1.90 | 3.40 | 3.10 | | | |
| 23:00 | 427 | უელსი-სან მარინო | 1.05 | 10.00 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 7.14 |
| 19:00 | 428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 9.00 | 3.70 | 1.40 | 2.62 | 1.21 | 1.01 |
| 19:00 | 429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.26 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 19:30 | 430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 1.04 | 10.00 | 35.00 | 1.00 | 1.00 | 7.77 |
| 19:30 | 431 | რუმინეთი-ლუქსემბურგი 0:3 | 1.70 | 4.50 | 3.10 | | | |
| 21:00 | 432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 21:00 | 433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 21:30 | 434 | მალტა-საბერძნეთი | 8.70 | 4.30 | 1.35 | 2.87 | 1.16 | 1.02 |
| 21:30 | 435 | მალტა-საბერძნეთი 1:0 | 3.00 | 3.80 | 1.80 | | | |
| 22:45 | 436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 22:30 | 437 | სერბეთი-პორტუგალია | 3.10 | 3.10 | 2.25 | 1.54 | 1.30 | 1.30 |
| 22:50 | 438 | იტალია-შოტლანდია | 1.33 | 4.40 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 2.95 |
| 23:00 | 439 | ანდორა-ინგლისი | 65.00 | 11.00 | 1.01 | 9.40 | 1.00 | 1.00 |
| 23:00 | 440 | ანდორა-ინგლისი 4:0 | 2.10 | 4.30 | 2.10 | | | |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 11:00 | 441 | ჩინეთი-უზბეკეთი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 22:15 | 442 | გერმანია21-ჩეხეთი21 | 1.65 | 3.20 | 4.90 | 1.08 | 1.23 | 1.93 |
| 22:00 | 443 | საფრანგეთი21-ნორვეგია21 | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| 21:30 | 563 | ბრაზილია-განა(ნ) | 1.40 | 3.80 | 8.00 | 1.02 | 1.19 | 2.57 |
| 16:30 | 565 | ბულგარეთი21-უკრაინა21 | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 17:00 | 566 | სერბეთი21-პორტუგალია21 | 2.45 | 3.10 | 2.50 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| 20:00 | 567 | შვეიცარია21-ავსტრია21 | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| 22:00 | 568 | ჰოლანდია21-ირლანდია21 | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 444 | საფრანგეთი-ავსტრია | 1.30 | 4.50 | 9.00 | 1.00 | 1.13 | 3.00 |
| 22:00 | 445 | გერმანია-დანია | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| 23:45 | 446 | აშშ-გვატემალა | 1.25 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.33 |
| 23:45 | 564 | ეკვადორი-მექსიკა(ნ) | 3.40 | 3.10 | 2.00 | 1.62 | 1.25 | 1.21 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 569 | აუდაქსი-ლიმა | 1.40 | 3.80 | 7.00 | 1.02 | 1.16 | 2.46 |
| 23:45 | 570 | გრემიო-დეპ.ტოლიმა | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 23:45 | 572 | ინტერნაციონალი-ველესი | 1.45 | 3.80 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.32 |
| | | 28 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 571 | ბოლივარი-სიენსიანო | 1.70 | 3.20 | 4.50 | 1.11 | 1.23 | 1.87 |
| 23:45 | 573 | დეფენსორი-პასტო | 1.45 | 3.60 | 6.50 | 1.03 | 1.18 | 2.31 |
| | | 29 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 574 | კოლო კოლო-კარაკასი | 1.20 | 5.20 | 9.20 | 1.00 | 1.06 | 3.32 |
| 23:45 | 575 | რივერ პლეიტი-უნივერსიტარიო | 1.30 | 4.40 | 8.20 | 1.00 | 1.12 | 2.86 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 551 | ლიბერეცი-სპარტა | 2.00 | 4.20 | 2.60 | 1.35 | 1.13 | 1.60 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | 27 მარტი | | | | | | |
| 21:45 | 559 | დავოსი-ბერნი | 2.00 | 4.10 | 2.50 | 1.34 | 1.11 | 1.55 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 1.30 | 3.40 | 15.00 | 1.00 | 1.19 | 2.77 |
| 10416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.90 | 2.30 | 6.00 | 1.04 | 1.44 | 1.66 |
| 10417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 6.50 | 2.40 | 1.80 | 1.75 | 1.40 | 1.02 |
| 10419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 5.50 | 2.10 | 2.10 | 1.51 | 1.51 | 1.04 |
| 10420 | პოლონეთი-სომხეთი | 1.28 | 3.50 | 15.00 | 1.00 | 1.17 | 2.83 |
| 10422 | სლოვენია-ჰოლანდია | 5.80 | 2.20 | 2.00 | 1.59 | 1.48 | 1.04 |
| 10423 | ესპანეთი-ისლანდია | 1.30 | 3.40 | 15.00 | 1.00 | 1.19 | 2.77 |
| 10425 | უკრაინა-ლიტვა | 1.65 | 2.50 | 7.00 | 1.00 | 1.33 | 1.84 |
| 10427 | უელსი-სან მარინო | 1.20 | 3.90 | 20.00 | 1.00 | 1.13 | 3.26 |
| 10428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 7.00 | 2.30 | 1.80 | 1.73 | 1.43 | 1.00 |
| 10429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.50 | 2.70 | 9.00 | 1.00 | 1.28 | 2.07 |
| 10430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 1.18 | 3.80 | 22.00 | 1.00 | 1.11 | 3.24 |
| 10432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.75 | 2.30 | 7.50 | 1.00 | 1.41 | 1.76 |
| 10433 | თურქეთი-ნორვეგია | 2.40 | 2.10 | 4.20 | 1.12 | 1.52 | 1.39 |
| 10434 | მალტა-საბერძნეთი | 8.00 | 2.50 | 1.65 | 1.90 | 1.36 | 1.00 |
| 10436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 2.40 | 2.10 | 4.20 | 1.12 | 1.52 | 1.39 |
| 10437 | სერბეთი-პორტუგალია | 3.50 | 2.00 | 2.70 | 1.27 | 1.52 | 1.14 |
| 10438 | იტალია-შოტლანდია | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10439 | ანდორა-ინგლისი | 34.00 | 5.00 | 1.10 | 4.35 | 1.06 | 1.00 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11416 | უნგრეთი-მოლდოვა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 12.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.95 |
| 11419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11422 | სლოვენია-ჰოლანდია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11425 | უკრაინა-ლიტვა | 1.65 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 15.00 | 15.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.70 |
| 11429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.60 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11433 | თურქეთი-ნორვეგია | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11434 | მალტა-საბერძნეთი | 12.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 30.00 | 12.00 | 1.60 |
| 11436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11437 | სერბეთი-პორტუგალია | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11438 | იტალია-შოტლანდია | 1.65 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 2.40 | 1.40 |
| 12416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.70 | 1.90 |
| 12417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 1.80 | 1.80 |
| 12419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 1.60 | 2.00 |
| 12420 | პოლონეთი-სომხეთი | 2.40 | 1.40 |
| 12422 | სლოვენია-ჰოლანდია | 1.60 | 2.00 |
| 12423 | ესპანეთი-ისლანდია | 2.30 | 1.45 |
| 12425 | უკრაინა-ლიტვა | 1.70 | 1.90 |
| 12427 | უელსი-სან მარინო | 3.70 | 1.20 |
| 12428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 1.70 | 1.90 |
| 12429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.90 | 1.70 |
| 12430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 3.30 | 1.20 |
| 12432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.60 | 2.00 |
| 12433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 12434 | მალტა-საბერძნეთი | 1.90 | 1.70 |
| 12436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.60 | 2.00 |
| 12437 | სერბეთი-პორტუგალია | 1.60 | 2.00 |
| 12438 | იტალია-შოტლანდია | 1.70 | 1.90 |
| 12439 | ანდორა-ინგლისი | 4.00 | 1.12 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15416 | უნგრეთი-მოლდოვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15422 | სლოვენია-ჰოლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15425 | უკრაინა-ლიტვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15432 | ისრაელი-ესტონეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15433 | თურქეთი-ნორვეგია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15434 | მალტა-საბერძნეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15437 | სერბეთი-პორტუგალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15438 | იტალია-შოტლანდია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.70 | 1.90 |
| 13417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 1.90 | 1.60 |
| 13419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 1.90 | 1.70 |
| 13422 | სლოვენია-ჰოლანდია | 1.90 | 1.70 |
| 13425 | უკრაინა-ლიტვა | 2.10 | 1.60 |
| 13428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 2.00 | 1.60 |
| 13429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 2.20 | 1.50 |
| 13432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.90 | 1.70 |
| 13433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.70 | 1.90 |
| 13434 | მალტა-საბერძნეთი | 2.10 | 1.60 |
| 13436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.70 | 1.90 |
| 13437 | სერბეთი-პორტუგალია | 1.70 | 1.90 |
| 13438 | იტალია-შოტლანდია | 2.00 | 1.60 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.12 | 4.80 |
| 16417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 5.00 | 1.10 |
| 16419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 3.70 | 1.20 |
| 16422 | სლოვენია-ჰოლანდია | 4.00 | 1.15 |
| 16425 | უკრაინა-ლიტვა | 1.05 | 7.00 |
| 16428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 6.00 | 1.06 |
| 16429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.03 | 7.50 |
| 16432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.06 | 7.00 |
| 16433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.35 | 2.70 |
| 16434 | მალტა-საბერძნეთი | 7.00 | 1.05 |
| 16436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.35 | 2.75 |
| 16437 | სერბეთი-პორტუგალია | 2.10 | 1.60 |
| 16438 | იტალია-შოტლანდია | 1.06 | 7.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.18 | 2.60 |
| 14417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 2.60 | 1.18 |
| 14419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 2.50 | 1.32 |
| 14422 | სლოვენია-ჰოლანდია | 2.50 | 1.30 |
| 14425 | უკრაინა-ლიტვა | 1.03 | 2.90 |
| 14428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 2.60 | 1.18 |
| 14429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.05 | 2.80 |
| 14432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.08 | 2.90 |
| 14433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.65 | 2.20 |
| 14434 | მალტა-საბერძნეთი | 2.80 | 1.07 |
| 14436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.65 | 2.20 |
| 14437 | სერბეთი-პორტუგალია | 2.00 | 1.80 |
| 14438 | იტალია-შოტლანდია | 1.07 | 2.90 |

## გოლი:ლუწი-კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17415 | ჩეხეთი-კვიპროსი | 1.85 | 1.95 |
| 17416 | უნგრეთი-მოლდოვა | 1.85 | 1.95 |
| 17417 | ლიხტენშტაინი-ლატვია | 1.85 | 1.95 |
| 17419 | ჩრდ. ირლანდია-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17420 | პოლონეთი-სომხეთი | 1.85 | 1.95 |
| 17422 | სლოვენია-ჰოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17423 | ესპანეთი-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17425 | უკრაინა-ლიტვა | 1.85 | 1.95 |
| 17427 | უელსი-სან მარინო | 1.85 | 1.95 |
| 17428 | აზერბაიჯანი-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17429 | ბულგარეთი-ალბანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17430 | რუმინეთი-ლუქსემბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17432 | ისრაელი-ესტონეთი | 1.85 | 1.95 |
| 17433 | თურქეთი-ნორვეგია | 1.85 | 1.95 |
| 17434 | მალტა-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17436 | ირლანდია-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17437 | სერბეთი-პორტუგალია | 1.85 | 1.95 |
| 17438 | იტალია-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17439 | ანდორა-ინგლისი | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

### ხელბურთი

**ჩემპიონთა ლიგა. კაცები**

ნახევარფინალი. პირველი მატჩები

პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) 30:28 კილი (გერმანია)

ფლენსბურგ-ჰანდევიტი (გერმანია) 32:30 ვალიადოლიდი (ესპანეთი)

# ესპანეთი — გერმანია: განსხვავება ორი ბურთია

**ყველაზე** ტიტულიანი სახელბურთო გუნდების, ჩემპიონთა ლიგის ექვსჯერ მომგებ „ბარსელონასა“ და ბოლო გამარჯვებულ „სიუდად რეალის“ მიმდინარე გათამაშებაში სენსაციური გამოთიშვის შემდეგაც ესპანეთს სალიგო ნახევარფინალში ორი წარმომადგენელი მაინც შემორჩა.

თუმც, მიუხედავად ამისა, პირინეელების დაპირისპირება გერმანულ კლუბებთან მათთვის უიმედო სულაც არაა — პამპლონის „პორტლენდ სან ანტონიოს“ იქნებ ორბურთიანი საშინაო მოგება ეყოს საპორტო „კილთან“ დაპირისპირებაში, ხოლო „ვალიადოლიდმა“ ასევე ორგოლიანი ფლენსბურგული მარცხი თავის სასარგებლოდ შემოატრიალოს.

ერთი სიტყვით, ფინალისტთა ვინაობა მხოლოდ ამ კვირის ბოლოს, განმეორებით მატჩებში გაირკვევა.

**გია ახალაძე**

### მოტორბოლა

**მსოფლიოს ჩემპიონატი. მეორე ეტაპი**

**ესპანეთის დიდი პრიზი. *ხერესი— 4,423 კმ***

**მოტო გრან პრი — 119,4 კმ**

1 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) — 45 წთ; 33,3
2 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — ჩამორჩა 1,2
3 კოლინ ედვარდსი (აშშ, ფიატ იამაჰა) — 2,7

**საერთო ჩათვლა**

1 როსი 45 ქულა; 2 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მარლბორო) 36; 3 პედროსა 36; 4 ედვარდსი 26; 5 მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრესინი) 19

**250 სმ³— 115,0 კმ**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) — 45 წთ; 35,8
2 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) — ჩამორჩა 0,2
3 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, სკოტ ჰონდა) — 0,5

**საერთო ჩათვლა**

1 ლორენცო 50 ქულა; 2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია) 33; 3 დოვიზიოსო 27; 4 ბატისტა 20; 5 იუკი ტაკაჰასი (იაპონია, სკოტ ჰონდა) 17

**125 სმ³— 101,7 კმ**

1 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) — 41 წთ; 52,1
2 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზეელორფ დერბი) — ჩამორჩა 0,01
3 ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — 5,7

**საერთო ჩათვლა**

1 ტალმაში 45 ქულა; 2 ფაუბელი 41; 3 პეშეკი 36 ქულა; 4 პოლ ესპარგარო (ესპანეთი, ბელსონ აპრილია) 22; 5 პაბლო ნიეტო (ესპანეთი, ბლუსენს აპრილია) 17

### ჭადრაკი

# კრამნიკმა ზურგში ანანდი იგრძნო

**ამბერის ტურნირი**

მონტე კარლო. მონაკო. 17-29 მარტი

**VIII ტური**

| | | |
|---|---|---|
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0:1, 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 1:0, 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0, 0,1 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0, 1:0 | ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0:1, 0:1 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5, 0:1 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |

პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიების შედეგები



ვიშვანათან ანანდი

**ვიშვანათან ანანდმა** ფრანსისკო ვალეხოს ორი ქულა აართვა და მეორე ადგილზე აღზევდა. ახლა იგი ლიდერ ვლადიმირ კრამნიკთან 1,5 ქულას აგებს და დაწევის შანსს კვლავაც ინარჩუნებს.

დაფაზედაუხედავ შეხვედრაში ანანდმა და ვალეხომ ესპანური პარტია გაითამაშეს. კასტილიელმა აქტიურად დაიწყო მატჩი, მე-4 სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს და იერიშებს შეუდგა. ინდოელმა მომდევნო სვლაზევე გამოაჩინა კლანჭები, წინ მთელი მძიმე არტილერია გამოუშვა და ესპანელს შეუტია. ანანდმა ხელმწიფის ფლანგი განავითარა, მეომარი ფიგურები აქეთ გადასხა და დაწოლა გააძლიერა. მალე აზიელი მთელ დაფაზე გაბატონდა, ლაზიერის ფლანგზე ორი პაიკი დაქოქა და ჩასათვლელი ხაზისკენ მიმართა. ვალეხო რამდენიმე სვლა კი გაებრძოლა მოშხვდურს, თუმც ვერაფერი დააკლო და 55-ე სვლაზე ქულა დაუთმო.

ძველინდურად ითამაშეს სწრაფი პარტია. შავი ფიგურებით ანანდმა შანსი არ მისცა ვალეხოს, შეტევებით გააბრუა და 51-ე სვლაზე მეორე ქულა მიითვალა.

წარმატებულად თამაშობს ლიდერი ვლადიმერ კრამნიკი. მსოფლიოს ჩემპიონმა ბორის გელფანდს 1,5 ქულა წაგლიჯა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა.

**ლუკა გეგეჭკორი**

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვლადიმირ კრამნიკი | 12,0 |
| 2. | ვიშვანათან ანანდი | 10,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 10,0 |
| 4. | ლევონ არონიანი | 9,5 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 9,5 |
| 6. | ბორის გელფანდი | 8,0 |
| 7. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 8,0 |
| 8. | პიოტრ ლეკო | 7,5 |
| 9. | მაგნუს კარლსენი | 7,0 |
| 10. | თეიმურ რაჯაბოვი | 6,0 |
| 11. | ფრანსისკო ვალეხო | 4,0 |
| 12. | ლუკ ვან ველი | 3,5 |

# ჯობავამ 66 დათვალა



კვირას რიგით საქართველოს 66-ე პირველობა დასრულდა. ჩემპიონი 8,5 ქულით ბაადურ ჯობავა გახდა. 11 პარტიიდან მან 7 მოიგო, სამი ყაიმით დაასრულა და ერთი წააგო.

მეორეზე დავით არუთინიანი გავიდა, იგი ერთი ქულით ჩამორჩა ოქრომედალოსანს.

ბოლო ტურში არუთინიანი ჩემპიონობის მცირე შანსს კვლავაც ინარჩუნებდა. თუ იგი თავის შეხვედრას მოიგებდა, ხოლო ჯობავა წააგებდა, ქულებით გაუთანაბრდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ბაადურმა მოიგო და მდევართათვის მიუწვდომელი შეიქმნა.

**ლუკა გეგეჭკორი**

## ქართული ლეგიონი

# როკი შოკშია

## ოლიმპია ოლიმპზე ვერ ავიდა

**ისეთი** იაღლიში, გიორგი ცინცაძის „როკს“ რომ ბალტიის ლიგაში შეემთხვა, უიშვიათესია. ჯერ კიდევ არსებობს შანსი, რომ „როკერები“ პლეი ოფში გაძვრნენ, მაგრამ ეს მათზე არაა დამოკიდებული და ალბათ არც მოხდება. „როკმა“ რეგულარული ჩემპიონატი დაასრულა, თუმც მის მდევარ ტალინის „კალევს“ კიდევ ერთი მატჩი დარჩა, რომელშიც შინ აუტსაიდერს ხვდება და თუ იმარჯვა, ცინცაძის გუნდს პლეი ოფს მიღმა დატოვებს.

ამაში უცნაური თავისთავად არაფერია, თუმც წინა ტურებს რომ გადავხედოთ, აი, რას ვნახავთ: „როკმა“ ტურნირი 9 გამარჯვებით დაიწყო და არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ეს გუნდი პირველ ადგილზე გავიდოდა, მაგრამ ტარტუელებმა დარჩენილი ხუთივე შეხვედრა წააგეს და პირველობა ხომ დაკარგეს, ახლა პლეი ოფში გამსვლელი მეორე ადგილიც ხელიდან ეცლებათ.

„როკის“ მოცილე „კალევმა“ გასულ ტურში სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა სერგო ათუაშვილის „ნეპტუნასი“ და პლეი ოფი თითქმის გაინაღდა. ყველაზე მაღალმა ქართველმა, ვის გუნდსაც ჯგუფიდან გასვლის არანაირი შანსი აღარ აქვს, ტალინელებს 7 წუთში 4 ქულა ჩაუგდო და 3 ბურთი მოუხსნა.

ადრიატიკული სეზონი დასრულდა მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპიასთვის“. ლიუბლიანელებმა რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში ხორვატიაში „ზაგრები“ დაამარცხეს, სადაც მანუმ 8 ქულა და 4 მოხსნა მიითვალა, თუმც „ოლიმპია“ მაინც განზე დარჩა. პლეი ოფის საგზური მოიპოვა ოთხმა საუკეთესო გუნდმა — პირველადგილოსანი „ცელეზნიკი“ „ჰემოფარმს“ შეერკინება, ხოლო „ციბონა“ „პარტიზანთან“ გაარკვევს ფინალისტის ვინაობას.

ნელ-ნელა უშინაურდება ესპანურ პრიმერადივიზიონს ნიკა ცქიტიშვილი. „კახა სან ფერნანდომ“ ესპანეთის ჩემპიონატის გასულ ტურში შინ ვალენსიური „პამესა“ დაამარცხა და ქართველმა ფორვარდმა სარეკორდოდ ბევრი, 20 წუთი ითამაშა. ნიკამ 2 სამქულიანი და 3 საჯარიმო ჩააგდო, რამაც საბოლოოდ 9 ქულა შეადგინა. მის ანგარიშზე ასევე 6 მოხსნა იყო.

ვლადიმერ ბოისამ კარგა ხნის შესვენების შემდეგ კვლავ დაიწყო ქულების მოპოვება. „სიენამ“ სტუმრად „ლივორნო“ რომ გათელა, ვოვამ 6 ქულა და 4 მოხსნა მოინაგრა. სიენელები სერია A-ს დამაჯერებლად ლიდერობენ და ალბათ პლეი ოფში ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობა ექნებათ.

სერია A-ს პლეი ოფში გასასვლელად იბრძვის ტაირონ ელისის „ნაპოლი“, რომელიც გასულ ტურში „რომასთან“ შერცხვა. ნატურალიზებულმა ქართველმა 25 წუთში მხოლოდ 2 ქულა მოინაგრა.

ნბა-ში კიდევ ერთი შედეგიანი მატჩი გამოაცხო ზაზა ფაჩულიამ, რომელმაც „საკრამენტოსთან“ შეხვედრაში 29 წუთში 23 ქულა მოაგროვა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ზაზამ თამაშიდან ნასროლი 12 ბურთიდან 11 ჩააგდო, რაც ნებისმიერი მოთამაშისთვის სასურველი და ბევრისთვის საოცნებო შედეგია.

**ირაკლი პერტაია**

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ზაგრები | ს | 82:72 | 36 | 8 | 4 | 2 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | ლივორნო | ს | 111:83 | 15 | 6 | 4 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ქატუდიანტესი | ესპანეთის ჩემპიონატი | მურსია | ს | 85:83 | არ უთამაშია | | | |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | პამესა | შ | 85:74 | 20 | 9 | 6 | 0 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ბალტიის ლიგა | კალევი | შ | 84:90 | 7 | 4 | 3 | 0 |
| | | ლიტვის ჩემპიონატი | ნევეჟისი | შ | 97:89 | 4 | 0 | 2 | 2 |
| ტაირონ ელისი | სიენა | სერია A | რომა | ს | 54:71 | 26 | 2 | 1 | 1 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგ. ჩემპიონატი | პორტლენდი | შ | 100:102 | 32 | 11 | 5 | 1 |
| | | | მაიამი | შ | 83:91 | 22 | 10 | 4 | 1 |
| | | | საკრამენტო | შ | 99:76 | 29 | 23 | 2 | 2 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური



სერგო ათუაშვილი ბალტიისპირეთშიც ყველაზე მაღალია

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

25 მარტი

**ატლანტა 97:104 დალასი**

ატლანტა: ა. ჯონსონი (9), ჩილდრესი (21), მ. უილიამსი (9), სმიტი (21), ფაჩულია (30 წუთი, 14 ქულა, 13 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი); ლუ (15), შ. უილიამსი (5), რაიტი (2), სტუდემაიერი (1), აივი

დალასი: პარისი (6), ტერი (27), ჰოვარდი (28), ნოვიცკი (28), დამპიე (6); სტეკჰაუზი (8), დიოპი (1), ჯორჯი, ბაკნერი, ბარეა, მენსა-ბონსუ

**საკრამენტო 107:100 ფინიქსი**

საკრამენტო: ბიბი (37), არტესტი (24), სალმონსი (17)

ფინიქსი: ბარბოსა (27), სტუდემაიერი (23 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (18), მერიონი (17)

**ლეიკერსი 115:113 გოლდენ სტეიტი**

ლეიკერსი: ბრაიანტი (43), ოდომი (24 ქულა, 19 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: ელისი (31), პარინგტონი (23), ჯეკსონი (16), დევისი (14)

**მილუოკი 95:121 დეტროიტი**

მილუოკი: ილიასოვა (21), ბელი (17)

დეტროიტი: პრინსი (28), მაკდაისი (20), მაქსეილი (19 ქულა, 15 მოხსნა)

**ინდიანა 90:92 ჩიკაგო**

ინდიანა: ონილი (39 ქულა, 14 მოხსნა), დანლივი (23)

ჩიკაგო: გორდონი (31), დენგი (14 ქულა, 10 მოხსნა), ჰაინრიხი (14)

**მინესოტა 94:93 პორტლენდი**

მინესოტა: გარნეტი (22), ფოი (17), დევისი (15)

პორტლენდი: როი (22), რენდოლფი (19)

**კლივლენდი 93:105 დენვერი**

კლივლენდი: ჯეიმსი (18), ილგაუსკასი (18), ჰიუზი (17)

დენვერი: ენტონი (27), ნენე (21), აივერსონი (18 ქულა, 12 პასი)

**ნიუ ორლეანი 106:94 ჰიუსტონი**

ნიუ ორლეანი: პოლი (28), ვესტი (23), მეისონი (19)

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (31), მინი (16)

**სიეტლი 79:120 სან ანტონიო**

სიეტლი: რიდნორი (16), უილკოქსი (14)

სან ანტონიო: ჯინობილი (19), პარკერი (18), დანკანი (16 ქულა, 10 მოხსნა)

# ჩემბერლენს თავისი შერჩა

„ატლანტა ჰოქსმა“ ზედიზედ მესამე თამაში წააგო, მაგრამ ამისთვის ბევრი არ დაძრახავს — აღმოსავლეთის ამ უპლეიოფო გუნდმა ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტ „დალასს“ ბოლო წუთებამდე ამტვრია კბილები და შინაურ კედლებში 15 ათასი მაყურებლის თვალწინ ძალიან არ შერცხვა. ატლანტელებს ყველაზე ღრმად ლახვარი ყოფილმა მათიანმა ჯეისონ ტერიმ ჩასცა, რომელმაც კარიერა სწორედ ჯორჯიულ გუნდში დაიწყო და იქ ხუთი სეზონის გატარების შემდეგ სამი წლის წინ გადაბარგდა „დალასში“. რაც თავი ახსოვს, „ატლანტა“ სულ ასეთი ქვენა გუნდია. იყო წლები, ნებისმიერი რანგის სტუმართან ჩვენივე დარბაზში ჩვენვე გამოვიყურებოდით სტუმრებივით და წაგება გამოწერილი გვქონდაო — იხსენებს ტერი. „ჰოქსი“ 1999 წლის შემდეგ პლეი ოფში ვერ ხვდება და ვერც წლეულს მოხვდება, მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა თითქოს ხორცი შეისხა და გამარჯვებებსაც უხშირა.



AFP

დირკ ნოვიცკიმ „ატლანტას“ 28 ქულა ჩაუგდო

ტერი, ნოვიცკი, ჰოვარდი და სხვა დალასელები პირველი წუთებიდანვე საშინელი ძალით დაატყდნენ თავს მასპინძლებს — საწყის მეოთხედში 39:19 გადაუარეს და ერთი შეხედვით საბოლოოდაც მოუთავეს ხელი. მაგრამ ატლანტელებმა მოახერხეს თავის ხელში აყვანა და ჩამორჩენის შემცირებას შეუდგნენ. თანაგუნდელებთან ერთად ჭაპანს ეწეოდა ზაზა ფაჩულიაც, რომელმაც ფარქვეშ ბევრი იბორგა და დალასელ დამცველებს ბლომად პერსონალურები ჩამოურიგა. ზაზამ 13 საჯარიმო სროლიდან 10 გამოიყენადა 14 ქულას 13 მოხსნაც მიაყოლა.

„ჰოქსმა“ კი ერთობლივი ძალისხმევით მოახერხა, ჩამორჩენა ბოლომდე გააბათილა — ბოლო მეოთხედში დაეწია და 79:77 გადაუსწრო „მავერიკსს“. მაგრამ დალასელთა ძალამ მაინც მოხნა აღმართი, გუთნის „როლი“ კი სწორედ ტერიმ შეასრულა, რომელმაც თავის ყოფილ გუნდს ბოლო 4 წუთში 10 ქულა აძგერა და „დალასს“ ზედიზედ მექვსე გამარჯვება დაუბევა.

„დალასისგან“ და კიდევ ერთი საჩემპიონო გუნდ „სან ანტონიოსგან“ განსხვავებით, რანგით დაბლა მდგომი მეტოქისთვის კისრის მოგრეხვა ვერ შეძლო „ფინიქსმა“. სტივ ნეში და კომპანია საკრამენტოში მორიგი გამარჯვებისთვის ჩავიდნენ, მაგრამ იქ დამხვდურებმა, განსაკუთრებით კი მაიკ ბიბიმ ფავორიტებს კუდით ქვა ასროლინეს. ამ უკანასკნელმა კლუბის ყველა დროის რეკორდი დაამყარა — ერთ თამაშში 9 სამქულიანი ჩააგდო.

ზედიზედ მეხუთე თამაში მოიგო „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“, მაგრამ მისმა ლიდერმა კობი ბრაიანტმა, დიდი მცდელობის მიუხედავად, ველარ უწია 50-ქულიან თამასას და ამ ხუთ თამაშში პირველად დასჯერდა ნაკლებს — 43 ქულას. ამგვარად, ზედიზედ 7 თამაშში 50 და მეტი ქულის მკეთებელ ლეგენდარულ უგატ ჩემბერლენს თავისი რეკორდი შერჩა.

**კოტე ყორშია**

RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

## საფრანგეთისკენ

# რუსები მიხვდნენ

## ნაკრებს ახლებს არ შევაჩეჩებთ

ამ უქმეებზე საქართველოს ნაკრებმა რუსეთს კიდევ ერთხელ რომ მოუგო, ამაში დიდი წვლილი ჩვენების ტანმორჩილმა მე-9 ნომერმა ირაკლი აბუსერიძემაც დაიდო. საძმოში „აბუდ" წოდებულმა შერკინების გამთამაშებელმა ტაიმნახევარი ატერორა რუსები, მერე კი მეტოქისგან უწესოდ შებოჭილმა მატჩი ველარ ჩაამთავრა. 29 წლის ირაკლი აბუსერიძე იმ თაობის გამორჩეული მოთამაშეა, 2001 წლის ერთა თასი რომ მოიგო და 2003 წლის მსოფლიოს თასზე ითამაშა. „აბუ" ახლაც ჩვენების შეუცვლელი მოთამაშე და ერთ-ერთი ლიდერია. რუსეთთან მოგებული მატჩის შემდეგ, უკვე საფრანგეთში დაბრუნებულ აბუსერიძეს დავუკავშირდით და სარუბრიკო ამბებიც გამოვკითხეთ

— რუსეთთან მატჩით დავიწყოთ. ისე ჩანდა, რომ პირველი ტაიმის დასაწყისშივე მეტოქე დაეუფლა უპირატესობას და ერთი-ორჯერ გადარჩით კიდეც. ელოდით ასეთ დასაწყისს?

— სიმართლე გითხრა, მატჩამდე ერთი კვირა მაგრად ვინერვიულე. საამისო მიზეზიც მქონდა. ჯერ ერთი, ბოლო სამი მატჩი განსხვავებული შემადგენლობით ვითამაშეთ — ყოველთვის გვაკლდა ძირითადი შემადგენლობის საკვანძო მოთამაშეები. ამას დაემატა ესპანეთთან წაგება, რაც მართლა კატასტროფა იყო. რუსებს კი მწვრთნელად კლოდ სოსელი ჰყავთ, რომელიც მოხარშულებს გვიცნობს. ერთი სიტყვით, მატჩისწინა ამბები აშკარად ჩვენს საწინააღმდეგოდ იყო და სანერვიულოც გვქონდა. ერთიცაა, სორელის ტაქტიკა ადვილად გამოსაცნობი იყო. მან კარგად იცოდა, რომ შერკინებით ვაჯობებდით და სწორადაც გათვალა, რუსები ხელდახელ რომ ათამაშა. თუმც ამისთვისაც მზად ვიყავით, ოღონდ ნაღდად არ ველოდით, თუ რუსები ასეთი ჟინით შემოგვიტევდნენ. ახლა ამის ახსნა იოლია. სორელი ხუთი დღის დანიშნულია მთავარ მწვრთნელად და რუსები ცდილობდნენ, თავზემოთ ეთამაშათ, თანაც სწორი ტაქტიკა ჰქონდათ არჩეული. ჩვენ კი ცოტა არეულები ვიყავით, მით უმეტეს, რომ ძირითადი შემადგენლობის შვიდი მორაგბე გვაკლდა. მერე და მერე რუსების ტაქტიკას ალღო ავუღეთ და ბოლომდე გავშიფრეთ.

— ოთხიდან სამი ლელო შერკინებით გაიტანეთ. გამოდის, ხელით თამაშზე უარი თქვით და ისევ ძველი სტილით ითამაშეთ?

— ასე არ ვიტყოდი. უკანა ხაზმაც კარგად ვითამაშეთ და ჩვენი მოპოვებული უპირატესობა გამოიყენეს მორკინალებმა. პირიქითაც იყო და ეს ჩვეულებრივი ამბავია. რა კოზირიც გაქვს, ის უნდა გამოიყენო.

— **მატჩის გარდამტეხი მომენტი როდის იყო?**

— პირველი ტაიმის ბოლოს ლელო რომ გავიტანეთ. მანამდე რუსებს ჰქონდათ ორი სალელოე შეტევა და ვერ გამოიყენეს. პირიქით, ჩვენ მივაწექით და ლელო რომ გავიტანეთ, პირველად დავწინაურდით. იქვე მიხვდნენ რუსები რომ აღარაფერი გამოუვიდოდათ. მეორე ტაიმის დებიუტში კი ორჯერ დავალელოვეთ და რუსებიც დანებდნენ.

— **მოდი, შევადაროთ. ისევე როგორც 2003 წლის მსოფლიოს თასის წინ, ამ ერთა თასს ნაკრების მწვრთნელები შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს თასის მოსამზადებელ ეტაპად იყენებენ. რა განსხვავებაა მაშინდელ და ახლანდელ ვითარებას შორის?**

— მაშინ ერთა თასი და მსოფლიოს თასის წინა შეკრებები თითქმის ძირითადი შემადგენლობით და ერთი ტაქტიკით ვითამაშეთ. მაშინ ჩვენი მწვთრნელი სწორედ კლოდ სორელი იყო და მაინცდამაინც ზედ მსოფლიოს თასის წინ მოინდომა ტაქტიკის და შემადგენლობის შეცვლა. გუნდის ლიდერები და სული და გული ლევან ცაბაძე, კახა ალანია და მევლუდ მთიულიშვილი კი ნაკრებს მილმა ალმოჩნდნენ. ერთი სიტყვით, ნაკრების შიდასამზარეულო აირია და მაგრად მოვიშალეთ. ახლა კი სულ სხვა ვითარებაა. შეცდომებზე ყველამ ვისწავლეთ. როგორც ვიცი, საექსპერიმენტოდ ერთა თასს გამოვიყენებთ, გამოსაცდელი ივნისში, რუმინეთში გასამართ ოთხთა ტურნირზე გამოიცდება და მერე სრულფასოვან შეკრებაზე მიზანმიმართულნი და ჩამოყალიბებულები წავალთ.

— **ამის გათვალისწინებით, შეიძლება ვთქვათ, რომ მსოფლიოს თასზე ნამიბიას უნდა მოვუგოთ?**

— წინა მსოფლიოს თასზე და ახლაც იგივე მიზანი გვაქვს, ღირსეულად ვეთამაშოთ გრანდებს და მოვიგოთ ერთი მატჩი შედარებით სუსტ მეტოქესთან. ახლა მეტოქეებად მასპინძელი საფრანგეთი, ირლანდია, არგენტინა და ნამიბია გვყავს. ნამიბიის გარდა ყველა გრანდია და მათ თავი არ უნდა დავაჩაგვრინოთ, აი, აფრიკელებს კი უნდა მოვუგოთ.

— **ერთიც, თქვენი თაობის უმეტესობა წლევანდელი მსოფლიოს თასის შემდეგ სანაკრებო კარიერის დასრულებას აპირებს. შენ რა გადაწყვიტე?**

— იმ თაობიდან შვიდი-რვა კაცი შემოვრჩით ნაკრებში და თუ ყველამ ერთად დავასრულეთ სანაკრებო კარიერა, გამოდის, რომ პასუხისმგებლობას ახალბედებს შევაჩეჩებთ. პირადად მე, თუ ხეიბარი არ გავხდი, ნაკრებს ჯერ არ მოვიტოვებ და ორისამი წელი კიდევ ვითამაშებ.

**ბაჩო სვანიძე**



# მარტში დანახული მსოფლიო

**ივლისიდან**, მაგარი იქნებოდა საქართველოს ათი დღის წინ მადრიდში ესპანეთთან არ წაეგო და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში ორი საფეხურით არ დაქვეითებულიყო. აგერ, რუსების მინგრევით ჩვენი „ლელოები" გვარიანად გამაგრდებოდნენ აქამდე მათთვის საუკეთესო მე-15 ადგილზე და ეგებ კანადისთვისაც გაესწროთ.

რაც იყო, იყო და ჩვენც სამარტო წიწილებთ დავთვლით. საქართველოს ნაკრები IRB-ის რეიტინგში ახლა მე-17 ადგილზეა. ერთა თასზე მოთამაშე გუნდებიდან ჩვენებს მხოლოდ მე-15 ადგილოსანი რუმინეთი უსწრებს, დანარჩენები კი ოდნავ ქვევით არიან, მაგრამ ძალიან საეჭვოა, ქართველებს წლეულს დაეწიონ. ერთიც, ამ უქმეებზე ერთა თასის მონაწილე პორტუგალიამ ორმატჩა ტრილერში აჯობა ურუგვაის და წლეულს შემოდგომაზე საფრანგეთში გასამართი მსოფლიოს თასის ბოლო, მე-20 გუნდი შეიქნა.

მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრები D ჯგუფში მოხვდა მასპინძელ საფრანგეთთან, ირლანდიასთან, არგენტინასთან და ნამიბიასთან ერთად. თქმა არ უნდა, ჩვენების მინიმუმი და მაქსიმუმიც ნამიბიის დამარცხებაა, რომელსაც მსოფლიო რეიტინგში 23-ე ადგილი უკავია. ექვსი ერის ჩემპიონი საფრანგეთი მეორეზეა, ირლანდია მეოთხეზე, ხოლო არგენტინას თავის ისტორიაში საუკეთესო სარეიტინგო ადგილი უკავია. სამხრეთამერიკელი „პუმები" მე-6 ადგილზე არიან.

**ბაჩო სვანიძე**



რუსების დამარცხებამ საქართველო რეიტინგში ვერ დააწინაურა

### მსოფლიოს თასი 2007

| A ჯგუფი |
|---|
| სამხრეთ აფრიკა |
| ინგლისი |
| სამოა |
| აშშ |
| ტონგა |

| B ჯგუფი |
|---|
| ავსტრალია |
| უელსი |
| ფიჯი |
| კანადა |
| იაპონია |

| C ჯგუფი |
|---|
| ახალი ზელანდია |
| შოტლანდია |
| იტალია |
| რუმინეთი |
| პორტუგალია |

| D ჯგუფი |
|---|
| საფრანგეთი |
| ირლანდია |
| არგენტინა |
| საქართველო |
| ნამიბია |

### IRB-ს რეიტინგი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ახალი ზელანდია | 94,59 |
| 2 | საფრანგეთი | 85,66 |
| 3 | ავსტრალია | 85,55 |
| 4 | ირლანდია | 85,31 |
| 5 | სამხ. აფრიკა | 84,71 |
| 6 | არგენტინა | 79,61 |
| 7 | ინგლისი | 79,35 |
| 8 | უელსი | 76,26 |
| 9 | იტალია | 75,39 |
| 10 | შოტლანდია | 73,94 |
| 11 | სამოა | 73,86 |
| 12 | ფიჯი | 73,15 |
| 13 | აშშ | 68,73 |
| 14 | კანადა | 68,52 |
| 15 | რუმინეთი | 66,79 |
| 16 | ტონგა | 66,66 |
| 17 | საქართველო | 66,05 |
| 18 | იაპონია | 64,95 |
| 19 | ურუგვაი | 63,44 |
| 20 | რუსეთი | 63,11 |
| 21 | პორტუგალია | 62,65 |
| 23 | ნამიბია | 59,29 |
| 25 | ესპანეთი | 58,18 |
| 28 | ჩეხეთი | 53,91 |

## მასტერსის სერია. ქი ბისკეინი. აშშ. ჰარდი
## 22 მარტი-1 აპრილი. საპრიზო 6 900 000$

### კაცები
#### მეორე წრე

ნიკოლას ალმაგრო (29, ესპანეთი) — პოტიტო სტარაჩე (იტალია) 7:6 6:3; რადეკ შტეპანეკი (24, ჩეხეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:3 6:2; ფლორიან მაიერი (გერმანია) — ფერნანდო ვერდასკო (28, ესპანეთი) 7:6 6:1; ტომი რობრედო (6, ესპანეთი) — კევინ კიმი (აშშ) 6:2 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) — სიმონ გროილი (გერმანია) 6:4 6:0; ამირ დელიჩი (აშშ) — ხოსე აკასუსო (21, არგენტინა) 6:0 6:3; დავიდ ნალბანდიანი (11, არგენტინა) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 6:3 6:4; ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — კარლოს მოია (27, ესპანეთი) 7:6 6:2

#### მესამე წრე

რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) — ოლივიე როხუსი (30, ბელგია) უარი; ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) — მიხაილ იუჟნი (18, რუსეთი) 7:6 6:4; ნოვაკ ჯოკოვიჩი (10, სერბეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4 6:1; ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) — ფლორინ სერა (საფრანგეთი) 7:6 6:3; ენდი როდიკი (3, აშშ) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:4 6:4; დავიდ ფერერი (13, ესპანეთი) — სიმონე ბოლელი (იტალია) 7:6 6:2; ენდი მიურეი (12, ბრიტანეთი) — რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:3 6:1; პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) — ფერნანდო გონსალესი (5 ჩილე) 6:3 7:6

### ქალები
#### მესამე წრე

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — ვინუს უილიამსი (აშშ) 2:6 6:2 7:5; ვერა დუშევინა (რუსეთი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:1 6:1; ნიკოლ ვაიდიშოვა (8, ჩეხეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6:3 6:3; სვეტლანა კუზნეცოვა (3, რუსეთი) — ელენა კოსტანიჩ-ტოსიჩი (ხორვატია) 6:4 6:2; შაჰარ პეერი (14, ისრაელი) — იულია ვაკულენკო (უკრაინა) 7:6 7:5; ტატიანა გარბინი (24, იტალია) — იაროსლავა შვედოვა (რუსეთი) 4:6 6:3 6:2; აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) — მარტინა ჰინგისი (5, შვეიცარია) 4:6 6:3 6:2; მარა სანტანჯელო (32, იტალია) — ელენა იანკოვიჩი (7, სერბეთი) 2:6 7:6 6:4; ანა ჩაკვეტაძე (9, რუსეთი) — ტატიანა გოლოვინი (17, საფრანგეთი) 6:1 6:3; ნა ლი (15, ჩინეთი) — კატარინა სრებოტნიკი (20, სლოვენია) 6:0 6:1; კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) — სამანტა სტოსური (25, ავსტრალია) 6:4 6:2; ნადია პეტროვა (6, რუსეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:1 6:1; დინარა საფინა (10, რუსეთი) — აი სუგიამა (22, იაპონია) 6:4 3:6 6:1; ვერა ზვონარიოვა (18, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (16, სლოვაკეთი) 6:2 6:4; ჟუსტინ ენინი (2, ბელგია) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:2 2:6 7:6

# მაშამ ვინუსი დალია


ჟუსტინ ენინმა 1:5 ამოიღო

ამას იმედოვნებდნენ, მაგრამ ნაკლებად მოელოდნენ — მარია შარაპოვასა და ვინუს უილიამსის შეხვედრაში ყველას ნამდვილ ჯახის ნახვა უნდოდა, თუმც იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკელი სულ ახალი მობრუნებულია კორტზე და არც მაშაა მთლად კარგ ფორმაში, ბევრი უინტერესო მატჩს ვარაუდობდა. გუშინ კი მაინც ნამდვილი ბრძოლა გაჩაღდა, რომელმაც თითქმის სამ საათს გასტანა და გამარჯვება საბოლოოდ პრიმას დარჩა.

მეორეს მხრივ ამ მატჩს შეიძლება შეცდომების შეხვედრა ეწოდოს — ორივემ მთლიანობაში 91 უნებლიე შეცდომა დაუშვა, რაც ასეთ ჩოგბურთელებს ნამდვილად არ ეკადრებათ. შარაპოვამ კი ისევ თავის ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე მოიგო — მაშას გადამწყვეტ სეტში 1:3 უპირატესობის აღმოფხვრა მოუხდა უფროსი უილიამსის დასაჯაბნად.

„ბედნიერი ვარ იმით, რომ რთულ სიტუაციაში შევძელი ვითარების გაკონტროლება. ბრძოლის ჟინი და ბოლომდე თამაშის უნარი ყოველთვის კარგი დამხმარეა" — ხარობდა ნამატჩევს შარაპოვა, რომელსაც, სავარაუდოდ, კიდევ ერთ უილიამსთან, ამჯერად სერენასთან მოუწევს დაჯახება.

მოულოდნელად დიდ პრობლემებს გადააწყდა ჟუსტინ ენინიც. არადა, ჭინკა ბელგიელს საკმაოდ სუსტი მეტოქე ჰყავდა ვირჟინი რაზანოს სახით და მას ყველა იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. თუმც ფრანგი თავის სახელიან მეტოქეზე გაცილებით ახლოს იყო წარმატებასთან, როცა გადამწყვეტ პარტიაში 5:1 მიჰყავდა და თითქოს სუპერსენსაცია მზად იყო, მაგრამ ბელგიელმა არ ისურვა ფლორიდის ასე ნაადრევად დატოვება და ამ, თითქმის უიმედო მდგომარეობიდანაც გამოძვრა.

ისე, გუშინდელ დღეს სენსაციები არ აკლდა — ქი ბისკეინს მეხუთე და მეშვიდე ნომრები, შესაბამისად, მარტინა ჰინგისი და ელენა იანკოვიჩი დაემშვიდობნენ. შვეიცარიელს 17 წლის ამომავალი პოლონელი ვარსკვლავი აგნეშკა რადვანსკა გაუსწორდა, ხოლო სერბს იტალიელმა მარა სანტანჯელომ გამოუყვანა წირვა. წაგო ერთი კვირის წინ ინდიან უელსის კორტებზე ნატრიუმფალმა დანიელა ჰანტუხოვამაც, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სტაბილურობა მისთვის ისევ დიდ პრობლემად რჩება.

სამაგიეროდ, გაცილებით წყნარად ჩაიარა სათამაშო დღემ კაცთა შორის, სადაც ერთადერთი მოულოდნელობა წლის პირველი სლემტურნირის მთავარი აღმოჩენისა და ფინალისტის ფერნანდო გონსალესის გავარდნა იყო. თუმც ავსტრალიურ კორტებზე ფრენის შემდეგ ჩილელისგან ბევრი ჩავარდნას ელოდა და ისიც ამართლებს სკეპტიკოსთა იმედებს — აგერ, უკვე ორი თვეა, არსად მესამე წრეს არ გასცდენია.

კარგად მიიწევენ ენდები — როდიკსა და მიურეის არ გასჭირვებიათ მეოთხე წრეში გასვლა. განსაკუთრებით ახალგაზრდა ბრიტანელის თვითდაჯერებული და ლამაზი თამაშია გამოსაყოფი.

მეოთხე წრეშია კიდევ ერთი ტალანტი — ცოტა ხნის წინ თავგამოჩენილი, ინდიან უელსის ფინალისტი ნოვაკ ჯოკოვიჩი, რომელიც ძალიან იოლად გაუსწორდა მიშელ ლოდრას.

დღის ბედის ნებიერა რაფაელ ნადალი გამოდგა — შემდეგ წრეში გასასვლელად ესპანელს კორტზე გასვლაც კი არ დასჭირვებია. ეს იმიტომ, რომ ოლივიე როხუსმა ტრავმის გამო თამაშზე უარი განაცხადა.

**კახა ლომაშვილი**

# ქართველები ფრანგებს ვერ გადაახტნენ

**სოფო ქვაცაბაიამ** ზედიზედ ორ ათენურ ტურნირზე შეძლო საკვალიფიკაციო ბარიერის დაძლევა და ძირითადი ბადის მეორე წრემდე მისვლა. ორივე შემთხვევაში 18 წლის ქართველს ფრანგმა ვიოლეტ ჰუკმა გადაუღობა გზა.

ის ტურნირები 10-ათასიანები იყო და ამ ჯერზე კი სოფომ 25-ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში დამარცხდა. თანაც ქვაცაბაიას ისევ ფრანგმა მოუგო, ოღონდ არა ჰუკმა, არამედ ნადეჟ ვერჟომ. 21 წლისა და რეიტინგში 485-ე ადგილზე მყოფმა ჩოგბურთელმა ქართველს შანსი არ დაუტოვა — 6:1 6:2. უიმედოდ — 4:6 0:6 დამარცხდა მარიამ კუპრეიშვილიც, ვინც ეგვიპტის მთავარქალაქ კაიროს თიხაზე მიმდინარე მორიგი 10-ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპიდან ცდილობდა ძირითად ბადეში მოხვედრას, მაგრამ პირველივე მეტოქესთან წააგო. ათენის არ იყოს, ქართველი კაიროშიც ფრანგმა, კერძოდ კი 18 წლის ალექსანდრა გვიზდოვსკიმ დაჯაბნა.

კაიროშია ოქსანა კალაშნიკოვაც, ვინც წინა კვირას ეგვიპტური შეჯიბრის ნახევარფინალს უწია. სავარაუდოდ, ამ ჯერზე ოქსანა ძირითად ბადეში იქნება.



## რეგულარული ჩემპიონატი


ვანკუვერი — კოლორადო: ზედახორა მასპინძელთა კართან

### 25 მარტი

**პიტსბურგი 5:0 ბოსტონი**
*3:0 1:0 1:0*
1:0 მალკინი (12), 2:0 კროსბი (17), 3:0 რობერტსი (18), 4:0 მელოუნი (24), 5:0 კროსბი (45)

**ვანკუვერი 4:5 კოლორადო**
*3:2 1:1 0:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 პაიეტი (10), 1:1 საკიკი (13), 2:1 დ. სედინი (17), 3:1 კოუენი (18), 3:2 მაკლინი (19), 4:2 პაიეტი (33), 4:3 მაკლინი (39), 4:4 საკიკი (51)

**აილენდერსი 1:2 რეინჯერსი**
*0:0 0:1 1:0 0:1 (ოვერტაიმი)*
0:1 ორი (39), 1:1 იაშინი (49), 1:2 ნიულენდერი (65)

**ჩიკაგო 2:3 კალგარი**
*2:1 0:0 0:2*
0:1 ჰუსელიუსი (3), 1:1 ვრბატა (6), 2:1 არნოტი (15), 2:2 იელი (41), 2:3 ჰამრლიკი (54)

**კოლუმბუსი 4:1 სენტ ლუისი**
*2:1 1:0 1:0*
1:0 უოლსერი (4), 1:1 ვაიტი (6), 2:1 მალოტრა (15), 3:1 მოდინი (25), 4:1 პლატი (44)

## ლიგის ლიდერები

ბომბარდირები: სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 111 (34+77); ჯო ტორნტონი (სან ხოსე) 104 (21+83); ვენსან ლეკავალიე (ტამპა) 100 (49+51); მარტინ სენ ლუი (ტამპა) 97 (41+56); დენი ჰიტლი (ოტავა) 96 (45+51); მარიან ჰოსა (ატლანტა) 93 (41+52); მარკ სავარი (ბოსტონი) 92 (22+70); ჯო საკიკი (კოლორადო) 90 (34+56); დანიელ ბრიარი (ბუფალო) 89 (31+58); იაროლიმ იაგრი (რეინჯერსი) 87 (26+61); ტეემუ სელიანე (ანაჰაიმი) 86 (44+42); ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი) 86 (43+43); ჯერომ იგინლა (კალგარი) 85 (34+51); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 81 (27+54); ევგენი მალკინი (პიტსბურგი) 80 (32+48)

გოლეადორები: ლეკავალიე 49; ჰიტლი 45; სელიანე 44; ოვეჩკინი 43; ჰოსა, სენ ლუი 41-41; ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 38; სიმონ განიე (ფილადენფია), ჯეისონ ბლეიკი (აილენდერსი), ტომაშ ვანეკი (ბუფალო), ალექსანდრ სიომინი (ვაშინგტონი) 37-37

ასისტენტები: ტორნტონი 83; კროსბი 77; სავარი 70; ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 63; იაგრი 61; ბრიარი 58; სენ ლუი, საკიკი 56-56; პაველ დაციუკი (დეტროიტი) 55

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ვანეკი 41; ტომ პრეისინგი (ოტავა) 39; ალფრედსონი, ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 36-36; ანტონ ვოლჩენკოვი (ოტავა) 32; დერეკ როი (ბუფალო), დაციუკი 30-30; კრის ფილიპსი (ოტავა) 28; კრის კელი (ოტავა), მარეკ მალიკი (რეინჯერსი), ჰიტლი 27-27

**აღმოსავლეთ კონფერენცია**

| | მ | შ | ქ |
|---|---|---|---|
| ბუფალო | 75 | 282:224 | 103 |
| ნიუ ჯერსი | 75 | 197:187 | 96 |
| ატლანტა | 76 | 229:232 | 88 |
| ოტავა | 76 | 267:207 | 98 |
| პიტსბურგი | 76 | 259:229 | 96 |
| რეინჯერსი | 76 | 219:198 | 87 |
| ტამპა | 76 | 235:240 | 86 |
| კაროლინა | 75 | 225:224 | 84 |
| აილენდერსი | 75 | 225:218 | 84 |
| მონრეალი | 76 | 225:235 | 84 |
| ტორონტო | 75 | 232:242 | 82 |
| ფლორიდა | 75 | 222:239 | 76 |
| ბოსტონი | 75 | 206:265 | 74 |
| ვაშინგტონი | 76 | 224:270 | 65 |
| ფილადელფია | 75 | 194:280 | 51 |

**დასავლეთ კონფერენცია**

| | მ | შ | ქ |
|---|---|---|---|
| ნეშვილი | 76 | 255:197 | 103 |
| ანაჰაიმი | 75 | 240:194 | 100 |
| ვანკუვერი | 75 | 203:185 | 97 |
| დეტროიტი | 75 | 232:188 | 101 |
| მინესოტა | 76 | 221:183 | 97 |
| დალასი | 75 | 204:183 | 96 |
| სან ხოსე | 76 | 235:185 | 96 |
| კალგარი | 75 | 239:205 | 90 |
| კოლორადო | 75 | 251:233 | 85 |
| სენტ ლუისი | 75 | 195:232 | 74 |
| კოლუმბუსი | 75 | 188:228 | 69 |
| ედმონტონი | 76 | 186:229 | 69 |
| ლოს ანჯელესი | 76 | 215:261 | 66 |
| ფინიქსი | 75 | 201:259 | 63 |
| ჩიკაგო | 75 | 185:239 | 63 |

კონფერენციებში პირველი სამი ადგილი დივიზიონების ლიდერებს უკავიათ; მთავრული შრიფტით გამოყოფილია პლეი ოფში გასული გუნდები; თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ურთიერთშეხვედრებში უკეთეს მაჩვენებელს

## მსოფლიოს თასი. ფინალური ეტაპი
## ფალუნი. შვედეთი. 24-25 მარტი

# გასრულდა ზამთრის ამბავი



ტობიას ანგერერი



ვირპი კუიტუნენი

AFP

ბარის მოთხილამურეებმა 2006-07 წლების სეზონი შვედეთში, ტრადიციული ფალუნის თამაშებით დახურეს. ხელოვნურ თოვლზე კაცებმაც და ქალებმაც დუატლონსა და ესტაფეტებში გაარკვიეს გამარჯვებულ-პრიზიორთა ვინაობა და ამით წლევანდელ სეზონს წერტილი დაესვა.

მსოფლიოს თასის მფლობელთა ვინაობა კარგა ხანია გაირკვა — გერმანელმა ტობიას ანგერერმა და ფინელმა ვირპი კუიტუნენმა სეზონის პირველი რბოლებიდან რომ იგდეს ხელთ ლიდერობა, ბოლომდე ასე იარეს, ახლოს არავინ გაიკარეს და უზარმაზარი უპირატესობით იმარჯვეს.

ანგერერმა ზედიზედ მეორედ მოიგო დიდი ბროლის გლობუსი და საერთოდაც, 2004 წლიდან მოყოლებული, უკვე ოთხი წელია, გერმანელები არავის უთმობენ პირველობას. რაც შეეხება კუიტუნენს, მან პირველად მოიგო მსოფლიოს თასი და ფინელ ქალთა ცხრამეტწლიანი უქმობა შეწყვიტა — 1988 წლის, ანუ მას შემდეგ, რაც სახელოვანმა მარიო მატიკაინენმა ზედიზედ მესამე დიდი ბროლი დაისაკუთრა, ფინელებს მსოფლიოს თასი აღარ მოუგოთ და აი, კუიტუნენი ძველი დიადების — მარია-ლიიზა ჰიამალიაინენისა და მატიკაინენის გზას დადგა.

კუიტუნენი ფალუნში საერთოდ არ ჩასულა და მის არყოფნაში 15 კილომეტრიანი დუატლონი თასის შარშანდელმა და შარშანწინდელმა მფლობელმა, ნორვეგიელმა მარიტ ბიორგენმა მოიგო, ხოლო ანგერერმა როგორ გამარჯვებითაც დაიწყო სეზონი, ასევე დაასრულა კიდეც — 30 კილომეტრიანი რბოლის ფინიშზე მსოფლიოს თასის 2003 წლის მფლობელს, შვედ მატიას ფრედრიკსონს აჯობა.

## კაცები

### 4X10 კმ ესტაფეტა

1. ნორვეგია (პეტერსენი, ჰელმესეტი, ესტილი, ნორტუგი) 1სთ 49 წთ 10,7 წმ; 2. რუსეთი 1:49.11,2; 3. საფრანგეთი 1:49.11,2; 4. ნორვეგია-2 1:49.23,6; 5. შვეიცარია 1:49.23,7

### 30 კმ დუატლონი

| | |
|---|---|
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 1სთ 31წთ 18,0წმ |
| 2. მატიას ფრედრიკსონი (შვედეთი) | +0,2წმ |
| 3. ემანუელ ჟონიე (საფრანგეთი) | +0,4 |
| 4. ანდერს სიოდერგრენი (შვედეთი) | +1,2 |
| 5. ვენსან ვიტოზი (საფრანგეთი) | +13,9 |

### საბოლოო მდგომარეობა

| | |
|---|---|
| 1. ტობიას ანგერერი (გერმანია) | 1131 ქულა |
| 2. ალექსანდრ ლეგკოვი (რუსეთი) | 578 |
| 3. ეიდარ რონინგი (ნორვეგია) | 556 |
| 4. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 522 |
| 5. ოდ ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) | 479 |

## ქალები

### 4X5 კმ ესტაფეტა

1. გერმანია (ბელერი, ბაუერი, ზახენბახერი, კიუნცელ-ნისტადი) 57 წთ 12,4 წმ; 2. ფინეთი 57. 13,3; 3. შვედეთი 57. 42,0; 4. ნორვეგია 57. 43,3; 5. ნორვეგია-2 58.13,7

### 15 კმ დუატლონი

| | |
|---|---|
| 1. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 51წთ 40,9წმ |
| 2. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | +3,2წმ |
| 3. ტერეზა იოჰაუგი (ნორვეგია) | +5,8 |
| 4. ევი ზახენბახერი (გერმანია) | +10,5 |
| 5. კრისტინა შმიგუნი (ესტონეთი) | +11,3 |

### საბოლოო მდგომარეობა

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 1510 ქულა |
| 2. მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) | 941 |
| 3. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 894 |
| 4. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | 844 |
| 5. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 826 |

## კაცები — მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი — ქალები

| | |
|---|---|
| 1982 ------------------- ბილ კოხი (აშშ) | 1995 ------------- ბიორნ დელი (ნორვეგია) |
| 1983 ---- ალექსანდრ ზავიალოვი (რუსეთი) | 1996 ------------- ბიორნ დელი (ნორვეგია) |
| 1984 ------------- გუნდე სვანი (შვედეთი) | 1997 ------------- ბიორნ დელი (ნორვეგია) |
| 1985 ------------- გუნდე სვანი (შვედეთი) | 1998 --------- ტომას ალსგარდი (ნორვეგია) |
| 1986 ------------- გუნდე სვანი (შვედეთი) | 1999 ------------- ბიორნ დელი (ნორვეგია) |
| 1987 ---------- ტორგნი მოგრენი (შვედეთი) | 2000 ----------- იოჰან მიულეგი (ესპანეთი) |
| 1988 ------------- გუნდე სვანი (შვედეთი) | 2001 ------------ პერ ელოფსონი (შვედეთი) |
| 1989 ------------- გუნდე სვანი (შვედეთი) | 2002 ------------ პერ ელოფსონი (შვედეთი) |
| 1990 --------- ვეგარდ ულვანგი (ნორვეგია) | 2003 ----- მატიას ფრედრიკსონი (შვედეთი) |
| 1991 ----- ვლადიმირ სმირნოვი (ყაზახეთი) | 2004 ------- რენე ზომერფელდი (გერმანია) |
| 1992 -------------- ბიორნ დელი (ნორვეგია) | 2005 ----------- ალექს ტაიხმანი (გერმანია) |
| 1993 -------------- ბიორნ დელი (ნორვეგია) | 2006 --------- ტობიას ანგერერი (გერმანია) |
| 1994 ----- ვლადიმირ სმირნოვი (ყაზახეთი) | 2007 --------- ტობიას ანგერერი (გერმანია) |

| | |
|---|---|
| 982 ------ ბერიტ აუნლი კველო (ნორვეგია) | 1995 -------------- ელენა ვიალბე (რუსეთი) |
| 1983 ---- მარია-ლიიზა ჰიამალიაინენი (ფინეთი) | 1996 ---------- მანუელა დი ჩენტა (იტალია) |
| 1984 ---- მარია-ლიიზა ჰიამალიაინენი (ფინეთი) | 1997 -------------- ელენა ვიალბე (რუსეთი) |
| 1985 ------------------ ანეტ ბო (ნორვეგია) | 1998 --------- ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) |
| 1986 ----------- მარიო მატიკანენი (ფინეთი) | 1999 -------------- ბენტე სკარი (ნორვეგია) |
| 1987 ----------- მარიო მატიკანენი (ფინეთი) | 2000 -------------- ბენტე სკარი (ნორვეგია) |
| 1988 ----------- მარიო მატიკანენი (ფინეთი) | -------- და სტეფანია ბელმონდო (იტალია) |
| 1989 -------------- ელენა ვიალბე (რუსეთი) | 2001 ------------ იულია ჩეპალოვა (რუსეთი) |
| 1990 --------- ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) | 2002 -------------- ბენტე სკარი (ნორვეგია) |
| 1991 -------------- ელენა ვიალბე (რუსეთი) | 2003 -------------- ბენტე სკარი (ნორვეგია) |
| 1992 -------------- ელენა ვიალბე (რუსეთი) | 2004 ---------- გაბრიელა პარუცი (იტალია) |
| 1993 ---------- ლიუბოვ ეგოროვა (რუსეთი) | 2005 ---------- მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) |
| 1994 ---------- მანუელა დი ჩენტა (იტალია) | 2006 ---------- მარიტ ბიორგენი (ნორვეგია) |
| | 2007 ----------- ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) |



## მსოფლიოს თასი. ფინალური ეტაპი
## პლანიცა. სლოვენია. 23-25 მარტი

# დიდი მალიში

**სლოვენიაში**, პლანიცას გიგანტურ ტრამპლინზე გამართული სამდღიანი შეჯიბრით დასრულდა ტრამპლინიდან მხტომელთა 2006-07 წლების მსოფლიოს თასის გათამაშება.

სეზონის ფინიში ადამ მალიშის ბენეფისად იქცა. 29 წლის პოლონელმა ერთგვარი ჰეთ თრიკი შეასრულა — სამივე სლოვენიური ეტაპი მოიგო და მსოფლიოს თასის გამარჯვებულის სარგო ბროლის გლობუსი დაისაკუთრა.

და, არა მარტო პლანიცაში — სეზონის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კი საპოროს მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოყოლებული, მალიშს ბადალი არ ჰყოლია. ის ზედიზედ იგებდა თასის ეტაპებს და ლიდერთან, წლევანდელი ოთხი ტრამპლინის ტურნეს მომგებ ნორვეგიელ ანდერს იაკობსენთან ჩამორჩენას ნელ-ნელა ამცირებდა.

სლოვენიური ეტაპების წინ ჯერ კიდევ იაკობსენი ლიდერობდა, მაგრამ პლანიცაში ნორვეგიელმა პოლონელს ვერანაირი კონკურენცია ვერ გაუწია. მალიშმა პარასკევსვე ჩამოიტოვა იაკობსენი და შაბათკვირას თავის უპირატესობას გაცილებით სოლიდური სახე მისცა.

ადამ მალიშმა მეოთხედ მოიგო მსოფლიოს თასი და ამ მაჩვენებლით დიად ფინელ მატი ნიუკიანენს გაუტოლდა. ნიუკიანენი 1983, 1985-86, 1988 წლებში იყო პირველი და მალიშმა კი 2001-03 წლებში ზედიზედ სამი ტრიუმფის შემდეგ დაძლია სამწლიანი ჩავარდნა და წლეულს მეოთხედ აღმართა ბროლის გლობუსი.

პლანიცაში მოპოვებული სამმაგი გამარჯვების შემდეგ მალიშის ანგარიშზე მსოფლიოს თასის ეტაპებზე მოგებული 38 ეტაპია და ეს ისტორიაში მეორე შედეგი გახლავთ. უფრო მეტი — 46 გამარჯვება ისევ და ისევ მატი ნიუკიანენის ანგარიშზეა.

### გიგანტური ტრამპლინი. HS 215

| | |
|---|---|
| **23 მარტი** | |
| 1. ადამ მალიში (პოლონეთი) | 423,5 ქულა (208,5მ+221,5მ) |
| 2. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 408,4 (208,5+213,5) |
| 3. ჯერნეი დამჟანი (სლოვენია) | 402,8 (206,5+205,0) |
| 4. რობერტ კრანიეცი (სლოვენია) | 398,5 (205,5+204,5) |
| 5. მარტინ კოხი (ავსტრია) | 392,6 (203,5+204,5) |
| **24 მარტი** | |
| 1. ადამ მალიში (პოლონეთი) | 419,6 ქულა (210,5მ+217,5მ) |
| 2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 417,7 (209,0+217,0) |
| 3. მარტინ კოხი (ავსტრია) | 417,4 (215,5+211,5) |
| 4. როარ ლიოკელსოი (ნორვეგია) | 415,1 (211,5+209,0) |
| 5. ანდრეას კოფლერი (ავსტრია) | 412,4 (206,0+213,5) |
| **25 მარტი (1 ნახტომი)** | |
| 1. ადამ მალიში (პოლონეთი) | 215,0 ქულა (220,0 მ) |
| 2. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 212,0 (217,5) |
| 3. მარტინ კოხი (ავსტრია) | 211,8 (216,5) |
| 4. სიგურდ პეტერსენი (ნორვეგია) | 210,7 (218,5) |
| 5. ტომაშ მორგენშტერნი (ავსტრია) | 207,4 (209,5) |
| **საბოლოო მდგომარეობა** | |
| 1. ადამ მალიში (პოლონეთი) | 1453 ქულა |
| 2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 1319 |
| 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 1067 |
| 4. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 956 |
| 5. ანდრეას კუტელი (შვეიცარია) | 804 |



AFP

ადამ მალიში

### მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1953 | იოზეფ ბრადლი (ავსტრია) | 1980 | ჰუბერტ ნეუპერი (ავსტრია) |
| 1954 | ოლავ ბიორნსტადი (ნორვეგია) | 1981 | არმინ კოგლერი (ავსტრია) |
| 1955 | ფრანც დენგი (გერმანია) | 1982 | არმინ კოგლერი (ავსტრია) |
| 1956 | ნიკოლაი კამენსკი (სსრკ) | 1983 | მატი ნიუკიანენი (ფინეთი) |
| 1957 | პენტი უოტინენი (ფინეთი) | 1984 | იენს ვაისფლოგი (გერმანია) |
| 1958 | ჰელმუტ რეკნაგელი (გერმანია) | 1985 | მატი ნიუკიანენი (ფინეთი) |
| 1959 | ჰელმუტ რეკნაგელი (გერმანია) | 1986 | მატი ნიუკიანენი (ფინეთი) |
| 1960 | მაქს ბოლკარტი (გერმანია) | 1987 | ვეგარდ ოპასი (ნორვეგია) |
| 1961 | ჰელმუტ რეკნაგელი (გერმანია) | 1988 | მატი ნიუკიანენი (ფინეთი) |
| 1962 | ეინო კირიონენი (ფინეთი) | 1989 | იან ბოკლოვი (შვედეთი) |
| 1963 | ტორალფ ენგენი (ნორვეგია) | 1990 | არი-პეკა ნიკოლა (ფინეთი) |
| 1964 | ვეიკო კანკონენი (ფინეთი) | 1991 | ანდრეას ფელდერი (ავსტრია) |
| 1965 | ტორგეი ბრაანდტცეგი (ნორვეგია) | 1992 | ტონი ნიემინენი (ფინეთი) |
| 1966 | ვეიკო კანკონენი (ფინეთი) | 1993 | ანდრეას გოლდბერგერი (ავსტრია) |
| 1967 | ბიორნ ვირკოლა (ნორვეგია) | 1994 | ესპენ ბრედესენი (ნორვეგია) |
| 1968 | ბიორნ ვირკოლა (ნორვეგია) | 1995 | ანდრეას გოლდბერგერი (ავსტრია) |
| 1969 | ბიორნ ვირკოლა (ნორვეგია) | 1996 | ანდრეას გოლდბერგერი (ავსტრია) |
| 1970 | ჰორს ქვეკი (გერმანია) | 1997 | პრიმოჟ პეტერკა (სლოვენია) |
| 1971 | ირჟი რაშკა (ჩეხოსლოვაკია) | 1998 | პრიმოჟ პეტერკა (სლოვენია) |
| 1972 | ინგოლფ მორკი (ნორვეგია) | 1999 | მარტინ შმიტი (გერმანია) |
| 1973 | რაინერ შმიდტი (გერმანია) | 2000 | მარტინ შმიტი (გერმანია) |
| 1974 | ჰანს-გეორგ აშენბახი (გერმანია) | 2001 | ადამ მალიში (პოლონეთი) |
| 1975 | ვილი პუერსტლი (ავსტრია) | 2002 | ადამ მალიში (პოლონეთი) |
| 1976 | იოხან დანებერგი (გერმანია) | 2003 | ადამ მალიში (პოლონეთი) |
| 1977 | იოხან დანებერგი (გერმანია) | 2004 | იანე აჰონენი (ფინეთი) |
| 1978 | კარი იულიანტილა (ფინეთი) | 2005 | იანე აჰონენი (ფინეთი) |
| 1979 | პენტი კოკონენი (ფინეთი) | 2006 | იაკუბ იანდა (ჩეხეთი) |
| | | 2007 | ადამ მალიში (პოლონეთი) |



თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა ამ სეზონში უკვე სამი უცხოური ტურნირი მოიარა. მეოთხე 21-22 აპრილს ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატი იქნება. მასზე წასაყვანი შვიდეული ჯერაც უცნობია. დღეს ზაზა თურმანიძის გუნდი თბილისში კრასნოიარსკული მსოფლიოს თასიდან მეოთხე ადგილით ბრუნდება. ევროპისთვის მოსამზადებლად კი ერთი ბორჯომული შეკრებაღა რჩება. რუსეთში გუნდი მთავარი მწვრთნელის გარეშე რომ ჩავიდა, ტურნირის მიმოხილვაშიც დავწერეთ, თურმანიძისვე მოკლე კომენტართან ერთად. ამჯერად თავისუფალთა თავკაცის ინტერვიუს გთავაზობთ. საუბარი ისევ კრასნოიარსკით დაიწყო

# ციმბირი ფილამ დაგვაფიცა

## თურმანიძე ბაქოს და მსოფლიოს უყურებს

— მსოფლიოს თასზე გამგზავრება ბოლო მომენტში გადაწყდა. ამ ტურნირზე გამოსვლა სეზონის წინ შედგენილ გეგმაში შეგნებულად არ შევიტანეთ, რადგან მასზე წარმატებას არც ისე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის. მეტსაც გეტყვით, არათუ მსოფლიოს თასზე, ევროპის ჩემპიონატზე ბოლომდე დარაზმვაც კი არაა ჩვენი უმთავრესი მიზანი. მთელი ყურადღება შემოდგომაზე ბაქოში ჩასატარებელ მსოფლიოს ჩემპიონატზე გვაქვს გადატანილი. სეზონის უმთავრეს ტურნირზე წლეულს ოლიმპიური ლიცენზიები გათამაშდება და უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება, მეტი მოვიპოვოთ.

— მაინც რატომ შეცვალეთ წინასწარი გეგმა?

— თავიდან აუცილებლად არ მივიჩნიეთ რუსეთში წასვლა, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციიდან მუქარა მოვიდა, თუ არ იჭიდავებთ, ფინანსური სანქციები დაგეკისრებათო. ასეთი პრინციპულობა ნამდვილად არაა სწორი.

— თუმცა კრასნოიარსკში ბოლომდე ოპტიმალური შემადგენლობა მაინც არ ჩავიდა...

— მთლად საუკეთესო შვიდეული მართლაც არ დაგვიყენებია, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ შემადგენლობა საგრძნობლად შესუსტებული იყო. წარუმატებლობის მთავარი მიზეზის ძებნას ისევ წინასწარ გეგმასთან მივყავართ. სხვა დაგეგმარებით ვვარჯიშობთ და ვმუშაობთ. ჯერ მხოლოდ ფიზიკური მომზადება გავიარეთ. სათანადო დონეს კი გარკვეული დროის შემდეგ უნდა მივაღწიოთ. აქცენტი რომ მსოფლიოს თასზე გაგვეკეთებინა, გუნდს მეც გავყვებოდი რუსეთში.

— წლეულს უკვე სამი საერთაშორისო ტურნირი მოიარეთ. ევროპის ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა თუ გამოიკვეთა?

— შვიდეულს ჯერ ვერ გეტყვით. თუმცა არის რამდენიმე წონა, რომლებშიც ევროპაზე წამსვლელები უკვე გამოიკვეთნენ. 55 კილოგრამში ბესიკ გუჩაშვილი იჭიდავებს, 74-ში — გელა საღირაშვილი, ხოლო 96-ში გიორგი გოგშელიძე. დანარჩენი ოთხი მოჭიდავე ბოლო შეკრებაზე გაირკვევა.

— არ გიხსენებიათ ოთარ თუშიშვილი (66 კგ) და რევაზ მინდორაშვილი (84 კგ)...

— ალბათ ევროპის ჩემპიონატს ორივე გამოტოვებს. ზემოთაც ვთქვი, სეზონის მთავარი სამიზნე მსოფლიოს ჩემპიონატია-მეთქი და თუშიშვილი და მინდორაშვილიც აქედანვე ემზადებიან საშემოდგომოდ. საევროპოდ კი მათ დასვენების საშუალებას მივცემთ. 84 კილოგრამშიც შემეძლო ახლავე მეთქვა, ევროპაზე საქართველოს ჩემპიონი ლერი ქეთიშვილი იჭიდავებსო, მაგრამ მუხლი აწუხებს და ჯერ არ ვიცით, მოასწრებს თუ ვერა მწყობრში ჩადგომას.

— ევროპის ჩემპიონატამდე როგორ მოემზადებით?

— 5-6 აპრილს ბორჯომში გავემგზავრებით, დასკვნით ორკვირიან შეკრებაზე. ტურნირი კი სოფიაში 21-22 აპრილს გველის.

**ოთარ მაღლაკელიძე**



### მსოფლიოს ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში
### მელბურნი. ავსტრალია. 17 მარტი - 1 აპრილი

# ოზების ლიზი-პრიზი



ლისბეტ ლენტონი

**მოცურავეები** მეორე დღეა საქმეს შეუდგნენ და უკვე ნათლად ჩანს, რომ ამერიკელებს და მასპინძელ ავსტრალიელებს ისევ ერთმანეთში მოუწევთ საერთო ჩათვლაში პირველობისთვის დავა. სულ, ამ ორ დღეში მედლების რვა კომპლექტი გათამაშდა და ოზებმაც და იანკებმაც 6-6 მედლიანი მოსავალი აიღეს.

გუშინ ამერიკელებმა ორი ოქრო მოიგეს, რომელთაგან პირველ რიგში 17 წლის უნივერსალი გოგონას, კეტრინ ჰოფის გამარჯვებაა აღსანიშნავი. 200 მეტრ კომპლექსურში, რომელიც ცურვის ოთხივე სტილის (გულაღმა, ბრასი, ბატერფლაი, თავისუფალი) „ნაზავია", მან ჯერ კიდევ 15 წლის ასაკში, 2005 წლის მონრეალის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებული ტიტული დამაჯერებლად დაიცვა და მძლავრ ზიმბაბველ ქალთევზა კრისტი ქოვენტრის კიდევ ერთხელ აჩვენა, თუ ვინაა ამ სახეობის ზვიგენი. ჰოფი რომ ქოვენტრისაც გაასწრებდა და ყველა სხვასაც უკან მოიტოვებდა, ეს ჯერ კიდევ მეორე გზობაზე, ბრასის დროს გამოჩნდა — თინეიჯერი ამერიკელი ისე მიცურავდა, რომ 10 წლის წინ ჩინელი იანიან ვუს მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდსაც უსწრებდა, მაგრამ ბოლო, მეოთხე გზობაზე თავისუფალი სტილით ცურვისას კეტრინი აშკარად დაიღალა და ტემპი დაუვარდა, განსაკუთრებით უკანასკნელ 25 მეტრზე და მსოფლიო რეკორდის ნაცვლად მსოფლიოს ჩემპიონატების რეკორდი, 2 წუთი და 10,13 წამი შერჩა.

50-ვარსკვლავის დროშას მეორე ოქრო კაცთა შორის ბრასის სტილით ცურვაში დიდად სახელმოხვეჭილმა ბრენდან ჰანსენმა მოუხვეჭა, რომელმაც ლამის მუდმივ კონკურენტად ქცეულ იაპონელ კოსუკე კიტაჯიმას საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში 0,16 წამით აჯობა.

დაძაბულობა და ჟრიამული ქალთა 100-მეტრიან ბატერფლაიში უნდა გენახათ — უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ამ დისციპლინის ფინალში და ყველაზე ცნობილებს — ჯესიკა შიპერს და ლიზბეტ ლენტონს ტაშის გვარიანი ულუფა ერგოთ ვნებიანი ავსტრალიელი ცურვისმოყვარული მაყურებლისგან, მით უფრო, რომ ისინი სწორედ რომ ავსტრალიელები არიან. უდაძაბულესი ბრძოლა გაიმართა, თავიდანვე დიწანურებულ ამერიკელ ნატალი კუგლინს თითქოს სენსაციის გამოცხობის უდიდესი შანსი ჰქონდა. პირველ 50 მეტრზე ის დამაჯერებლად ლიდერობდა და უკანა გზაზეც, 75-მეტრიან ნიშნულთან ნახევარ კორპუსს, ანუ ერთი წამის ფარგებში უგებდა ორივე ავსტრალიელს, მაგრამ ჩანს, გიჟურმა ცურვამ მალე გამოაცალა ენერგია და ოზი გოგონები 4-5 მოქნევაში დაეწივნენ. ბოლო მტერებზე შიპერმა და ლენტონმა ერთმანეთში გამართეს შეჯიბრი და ოქრო ამ უკანასკნელს დარჩა.

სულ არ შეხვდა მედალი სამივე აქ ნახსენებ მოცურავეზე არანაკლებ განთქმულ ინგე დეკერს. ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონი თითქმის წამით ჩამორჩა მესამე ადგილზე გასულ კუგლინს.

მაგრამ კვირას ოქრო მხოლოდ ამერიკელებს ან ავსტრალიელებს როდი შერჩათ. 50-მეტრიან კაცთა ბატერფლაიში სამხრეთამერიკელმა როლანდ შუმანმა 100-მეტრიან ბატერფლაიში მსოფლიოს ჩემპიონსა და რეკორდის მფლობელ ამერიკელ იან კროკერს მთელი 0,3 წამით მიასწრო, რაც 50-მეტრიან დისტანციაზე გვარიანი უპირატესობა გახლავთ.

**კოტე ყორშია**



ლიან ჰუო და ლინ იე

**ცურვა**

**კაცები. 50 მ. ბატერფლაი**

1. როლანდ შუმანი (სამხრეთ აფრიკა) 23,18; 2. იან კროკერი (აშშ) 23,47; 3. იაკობ შიოტ ანდკიანდერი (დანია) 23,58

**კაცები. 100 მ. ბრასი**

1. ბრენდან ჰანსენი (აშშ) 59,80; 2. კუსუკე კატაჯიმა (იაპონია) 59,96; 3. ბრენტონ რიკარდი (ავსტრალია) 1.00,58

**ქალები. 100 მ. ბატერფლაი**

1. ლისბეტ ლენტონი (ავსტრალია) 57,15; 2. ჯესიკა შიპერი (ავსტრალია) 57,24; 3. ნატალი გუგლინი (აშშ) 57,34

**ქალები. 200 მ. კომპლექსური**

1. კეტრინ ჰოფი (აშშ) 2.10,13; 2. კირსტი ქოვენთრი (ზიმბაბვე) 2.10,76; 3. სტეფანი რაისი (ავსტრალია) 2.11,42

**წყალში ხტომა**

**ქალთა სინქრონული კოშკი**

1. მინქსია ვუ, ჟინჟინ გუო (ჩინეთი) 355,80; 2. დიტე კოციანი, ჰაიკე ფიშერი (გერმანია) 318,45; 3. შარლინ სტრატონი, ბრონინ კოული (ავსტრალია) 313,14

**კაცთა სინქრონული კოშკი**

1. ლიან ჰუო, ლინ იე (ჩინეთი) 489,48; 2. დმიტრი დობროსკოკი, გლებ გალპერინი (რუსეთი) 467,16; 3. დავიდ ბუდია, ტომას ფინჩამი (აშშ) 463,56

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვადაძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუხიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge